ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

„ვაიმე, დავიღუპეთო, იყვირა მძღოლმა, მეორე ბრუნზე მე და დედაჩემი ფანჯრიდან გავისროლა“

გვ.7



გომბორის ტრაგედიის დეტალები

8 ივნისიდან

ევგენი ვოდოლაზკინი

ლავროსი

სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ორშაბათი,11 ივნისი, 2018 | №136 (7681) | ფასი: 50 თეთრი

# ზაზა სარალიძე: „გახარია და წულუკიანი უნდა გადადგნენ“



გვ.2



რატომ თქვა უარი „ევროპულმა საქართველომ“ აქციაში მონაწილეობაზე

## მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მე მხოლოდ ტყვია შემაჩერებს“



## შალვა ხაჭაპურიძე: „წულუკიანი იუსტიციის მინისტრად თავიდანვე არ უნდა დაენიშნათ“

გვ.4



## ანრი ოხანაშვილი: „თეა წულუკიანის გადადგომის მოთხოვნა სწორი არ არის“

გვ.3



### სამართალი

გვ.7

მირზა სუბელიანს ბრალი წარუდგინეს





დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე პროკურატურას შოთა შალელაშვილის საქმიანობით დაინტერესებას სთხოვს






ქართველმა პარაპლანისტებმა რუსებს სცემეს

### ეკონომიკა

გვ.6



კანადაში ქართულ ქვევრებში ღვინოს დააყენებენ



კოლმეურნეობის მოედანზე ყვავილების პავილიონის მშენებლობა 2 წლით გადაიდო



რა შემთხვევაში ეკრძალება პირს ქონების გაჩუქება?

ISSN 1987-9385
9 771987 938006

8 ფრანგი ანალიტიკოსები კრემლის უახლოეს მიზნებს ასახელებენ

3 მირზა სუბელიანზე სკანდალურ ინფორმაციებს ზვიად კუპრავას ირაკლი კორძაია აწვდიდა?

4 ირაკლი კობახიძე: „რუსული აგრესიის შესაჩერებლად ზომები მივიღოთ“

5 ბიძინა გუჯაბიძე: „ზაზა სარალიძემ ნაციონალები უნდა მოიშოროს“

# ზაზა სარალიძე: „გახარია და წულუკიანი უნდა გადადგნენ“

შორენა მარსაგიშვილი





გუშინ, 10 ივნისს, რუსთაველის გამზირზე გრანდიოზულ საპროტესტო აქციას ელოდნენ. აქცია ერთი კვირის წინ დაანონსდა და ის შვილმოკლული მამების – ზაზა სარალიძისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის – მხარდასაჭერად უნდა გამართულიყო.

აქციაში პოლიტიკური პარტიებიც ჩაერთვნენ და, როგორც ამბობენ, საზოგადოების დიდმა ნაწილმა სწორედ ამიტომ შეიკავა თავი ქუჩაში გამოსვლისგან.

პარტიებმა მხარდამჭერები რეგიონებიდანაც ჩამოიყვანეს. ტრადიციულად, ყველაზე აქტიური იყო სამეგრელო. აქციაში მონაწილეობის მისაღებად პანკისელებიც ჩამოვიდნენ. ისინი 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილის მკვლელების დასჯას ითხოვენ.

აქციაზე შვილმოკლული დედებიც მრავლად იყვნენ. ისინი „ოცნების“ ხელისუფლებისგან თავიანთი შვილების საქმეების ობიექტურად გამოძიებას ითხოვენ.

10 ივნისის აქციაში მონაწილეობას აპირებდა „ევროპული საქართველოც“, მაგრამ ღონისძიების წინა დღეს მათ გაავრცელეს განცხადება, რომ რუსთაველის გამზირზე არ გავიდოდნენ.

– როგორც ჩვენმა პარტიამ უკვე არაერთხელ აღნიშნა, ჩვენ არ ვართ ამ აქციის ორგანიზატორები, შესაბამისად, ამ აქციაში არ ვმონაწილეობთ. ჩვენ ვმუშაობთ ზაზა სარალიძის შვილის მკვლელობის გამოძიებაზე საპარლამენტო კომისიის ფარგლებში და ყველაფერს გავაკეთებთ სიმართლის დასადგენად, – განაცხადა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ოთარ კახიძემ.

ამ განცხადებას ნაციონალების მხრიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მათ „ევროპულ საქართველოს“ ივანიშვილის მონები უწოდეს. ნაციონალების მტკიცებითვე, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა და დავით ბაქრაძე პირადად ურეკავდნენ თანაპარტიელებს და აქციაზე მისვლას უკრძალავდნენ.



საპროტესტო მოძრაობის წარმომადგენლები დარწმუნებული არიან, რომ ხელისუფლებამ მუხტის ჩასაკლავად დააკავა აქციის წინა დღეს მირზა სუბელიანი, რომლის მიმართაც დიდი ხანია კითხვები არსებობს.

ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდის მამა, ზაზა სარალიძე, თითქმის ნახევარი წელი ითხოვდა ამ ადამიანის პასუხისგებაში მიცემას. სუბელიანი დააკავეს, მაგრამ შვილმოკლული მამა უკმაყოფილოა.

ის შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას გადადგომას ითხოვს. მოგეხსენებათ, რომ ხორავას ქუჩის საქმე გამოსაძიებლად გახარიას უწყებას გადასცეს. საქმის გამოძიება თავიდან შსს-მ დაიწყო და, როგორც ზაზა სარალიძე ამბობს, მტკიცებულებების გაყალბება პროკურატურამდე გახარიას სამინისტრომ დაიწყო.

შვილმოკლული მამა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის გადადგომასაც ითხოვს.

– ჩემი შვილის მკვლელობის გამოძიება პირველ ეტაპზე დაიწყო გახარიას უწყებამ და რამდენიმე დღეში გადაეცა პროკურატურას, ანუ რის თქმა მინდა, გახარიას უწყებამ დაიწყო ამ საქმის პირველი გაყალბება და ბოლოს, როდესაც უკვე ქუჩაში მომიწია თქვენი დახმარებით გამოსვლა, ისევ დაუბრუნეს გახარიას უწყებას. არ ვენდობი გახარიას უწყებას, მაგრამ გადავდგი ნაბიჯი, მივეცი 10 რიცხვამდე დრო, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადაედგათ.

იმის მაგივრად, რომ კონკრეტული ნაბიჯები გადაედგათ, ისევ და ისევ გააგრძელეს ჩემი შვილისა და მალხაზ მაჩალიკაშვილის შვილის სულში ჩაფურთხება. ახლა კონკრეტულად ვითხოვ გახარიას გადადგომას, რომელმაც კიდევ ფეხებზე დაგვიკიდა, – განაცხადა სარალიძემ.

მისი თქმით, მერაბ მორჩაძის დაკავებით მიხეილ კალანდიას ჩვენების გამართლებას ცდილობენ, რათა მისი შვილის რეალური მკვლელი არ დააკავონ.

ზაზა სარალიძემ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის გადადგომაც მოითხოვა, რათა მთავარი პროკურორი საზოგადოებამ აირჩიოს.

მან პრეტენზიები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართაც გამოთქვა, ამბობს, რომ სუს-ის თანამშრომლები მის მეუღლეს დაჰყვებიან და მასაც უთვალთვალებენ, თუმცა ეს უკვე აღარ აღელვებს.

– მივმართავ ქუთაისის ადმინისტრაციას, რომლებიც პირდაპირ მიდიან და ჩემი ოჯახის წევრებს რაღაც მოთხოვნებს უყენებენ. ვაფრთხილებ ყველას, არ გაეკარონ ჩემი ოჯახის წევრებს. ჩემს მეუღლეს დაჰყვებიან სუს-ის თანამშრომლები ბაზარში, გარეთ, კარში, სირცხვილია, უბრალოდ, სირცხვილია. კაცები ხართ თუ ვინ ხართ?! ქალს რაღას დასდევთ? კაი, მე დამდევთ, მაგრამ ქალს რაღას დასდევთ, იქნებ რისი ყიდვა უნდა ქალს?! არ გრცხვენიათ? ან შვილები არ გყავთ, ან დედები? რა ჯანდაბაა, ველარ ვხვდები უკვე, რა უნდათ, – აღნიშნა შვილმოკლულმა მამამ.

ხელისუფლების მხარდამჭერები მას ხშირად საყვედურობენ იმის გამო, რომ გვერდით ნაციონალები დაიყენა. ზაზა სარალიძემ გუშინ, 10 ივნისს, „ოცნებას“ გვერდში დადგომისკენ მოუწოდა.

## მალხაზ მაჩალიკაშვილი: „მე მხოლოდ ტყვია შემაჩერებს“



– მოვუწოდებ მმართველ გუნდს, გამოვიდეს ჩვენთან ერთად, დადგეს ამ სცენაზე და ჩვენთან ერთად შეებრძოლოს უსამართლობას, იქიდან გამომდინარე, რომ ყველა კარი ღიაა, ვისაც კი სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლა სწყურია. მოვიდეს ნებისმიერი, არავის ხელს არ ვკრავთ ჩვენ, აბსოლუტურად ყველა ადამიანი, ვნახოთ, თუ გული უძგერთ და სტკივათ ჩვენი შვილების ჭირი, ვთხოვ, მობრძანდნენ, დაგვიდგნენ გვერდში, – განაცხადა სარალიძემ.

თემირლან მაჩალიკაშვილის მამა, მალხაზ მაჩალიკაშვილი, ამბობს, რომ ხელისუფლებამ არც მას და არც სარალიძეს უკანდასახევი გზა არ დაუტოვა.

ის რუსთაველზე დგომას მანამდე აპირებს, სანამ დამნაშავეები ციხეში არ წავლენ.

– მე და ზაზას უკან დასახევი გზა არ გვაქვს. ჩვენ ღმერთის ნებით ვიდგებით, სანამ არ დაისჯებიან დამნაშავეები, სანამ არ მოხვდებიან ციხეში, – აღნიშნა მაჩალიკაშვილმა.

აქციაზე სიტყვით გამოსვლისას მან განაცხადა. რომ მისი გაჩერება მხოლოდ ტყვიას შეუძლია.

– 5 თვე გახდა, რაც ამ ხელისუფლებამ ჩემთან ხეობაში ტერორისტული აქტი ჩაატარა. მე მქონდა მოთხოვნები, სახელმწიფოსგან იქნეს აღიარებული ის შეცდომა, გამოუსწორებელი, მხეცური შეცდომა, რომელიც დაუშვეს. ამ ხელისუფლებას თემირლანის ხსენებაზე თმა ყალყზე უდგება. უნდათ, რომ ჩაკლან ეს საქმე. ჩემი მოთხოვნები იქნება ძალაში. მე მხოლოდ ტყვია გამაჩერებს, – ამბობს მალხაზ მაჩალიკაშვილი.

აქციაზე განცხადებები პოლიტიკოსებმაც გააკეთეს. ლეიბორისტული პარტიის ლიდერ შალვა ნათელაშვილის თქმით, საქართველოს ბედი რუსთაველზე წყდება.

მისი აზრით, აუცილებელია, ძალაუფლება ხალხის ხელში გადავიდეს.

– პარლამენტის წინ მოვიდა დღევანდელობასა და მომავალზე შეწუხებული ხალხი. ჩვენ აქ ვიდგებით მანამდე, სანამ ძალაუფლება არ იქნება ხალხის ხელში. როგორც კი აქედან წავალთ და ვიტყვით, რომ აქციები დამთავრებულია, დაიწყება ივანიშვილობა, ბიძინობა, ბანკირობა, ჩვენი შვილების დახოცვა. ერთადერთი ხსნა ჩვენი ერთად დგომაა, – აღნიშნა ნათელაშვილმა.

ნაციონალების სახელით განცხადება გააკეთა ზალიკო უდუმაშვილმა. მისი თქმით, სამართალი აუცილებლად უნდა აღდგეს და დამნაშავეები ციხეში წავიდნენ.



## რატომ თქვა უარი „ევროპულმა საქართველომ“ აქციაში მონაწილეობაზე

– ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, დაისაჯოს ყველა დამნაშავე და ამ დამნაშავეების მფარველები. ეს არის მთავარი მოთხოვნა, რომლის შესრულებასაც ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოსვლით ითხოვს. დღეს ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების გზა გადის რუსთაველზე და არა – კაბინეტებსა და კომისიებში. ეს ხალხი არის ის ძალა, რომელიც მიაღწევს საბოლოო მიზანს და ზაზა სარალიძესა და მალხაზ მაჩალიკაშვილს აპოვნინებს სიმართლეს. თავად ზაზასა და მალხაზის მოთხოვნებია, რომ მათ გვერდით უნდა ვიდგეთ დღეს ყველა.

ის, რასაც ხელისუფლება ერთი კვირის განმავლობაში აკეთებს, მართლაც სამარცხვინოა. 10 ივნისამდე იყო დათქმული ვადა, რაც ზაზა და მალხაზი პრემიერს შეხვდნენ და ამის შემდეგ მორიგი ლუკმა გადმოუგდეს ამ ხალხს მირზა სუბელიანის სახით. ეს იყო ხელისუფლების რეაქცია ამ ყველაფერზე. მინდა მივმართო ხელისუფლებას, რომ ეს მუხტი გაგრძელდება მანამ, სანამ ერთხელ და სამუდამოდ არ დადგინდება სიმართლე, არ დაისჯება ყველა დამნაშავე და ყველა მმართველი. ჩვენი გეგმები არის ზუსტად იგივე, რომლებსაც ბატონი ზაზა და ბატონი მალხაზი დააყენებენ, რადგან სრული ნდობა გამოვუცხადეთ მათ, – განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

თავის დროზე ზაზა სარალიძემ პოლიტიკოსებს გვერდში დადგომა იმიტომ სთხოვა, რომ პროვოკაციების თავიდან არიდება სურდა. პოლიტიკოსები რუსთაველზე მივიდნენ, მაგრამ პროვოკაცია მაინც მოხდა.

10 ივნისს რუსთაველის გამზირზე პოლიციამ ორი პირი დააკავა. ერთი მათგანი ნასვამი იყო, რომელმაც აქციის მონაწილეებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

თავიდან ითქვა, რომ ერთ-ერთი დაკავებული ზაზა სარალიძის უსაფრთხოებას იცავდა. ეს ინფორმაცია სარალიძემ უარყო და განაცხადა, რომ მას არავინ იცავს.

ინციდენტთან დაკავშირებით განმარტება საპატრულო პოლიციამ გააკეთა.

– ერთი მათგანი, რომელიც, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, შევიდა, აქციის მონაწილეებს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. პოლიციელები შეეცადნენ მის გამოყვანას, აქციის მონაწილეები მას აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. ორი მხრიდან მოხდა დაკავება, ეს ორი პირი, სავარაუდოდ, იყო ერთმანეთთან დაპირისპირებული მხარე, წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის ბოროტად დაუმორჩილებლობის მუხლებით არიან დაკავებული, – განაცხადა თბილისის პოლიციის უფროსმა თეიმურაზ კუპატაძემ.

მისი განცხადებით, არსებობს ინფორმაცია, რომ პოლიციის სამოსში გადაცმული გარკვეული ჯგუფები რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციაზე პროვოკაციის მოწყობას შეეცდებიან.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მირზა სუბელიანზე სკანდალურ ინფორმაციებს ზვიად კუპრავას ირაკლი კორძაია აწვდიდა?

## რა ინფორმაციებს ფლობს სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესცენტრის ყოფილი უფროსი

შორენა მარსაგიშვილი

**სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ „ქართულ ოცნებას“ სკანდალებით სისხლი გაუშრო, ამბობს, რომ მათ წინააღმდეგ კომპრომატებს ისევ „ოცნების“ წევრები აწვდიან.**

რამდენიმე დღის წინ ის ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში იმყოფებოდა, სადაც, როგორც თავად ამბობს, „ოცნების“ ხელისუფლების წარმომადგენლების ყოფილ მეგობრებს შეხვდა და მათ სოზარ სუბარსა და მის სკანდალურ ნათესავ მირზა სუბელიანზე სერიოზული ინფორმაციები მიაწოდეს.

არის ვარაუდი, რომ ერთ-ერთი მათგანი ჟურნალისტი ირაკლი კორძაიაა. კორძაია სასჯელაღსრულების სამინისტროს პრესსამსახურის უფროსი იყო. ის იქ სამუშაოდ სუბარმა მიიყვანა.

კორძაია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანაზე ისაუბრა. კუპრავას ვარაუდით, მირზა სუბელიანი ხელისუფლებას სწორედ ვანოს გასეირნების ამსახველი კადრებით აშანტაჟებს.

კუპრავა არ აკონკრეტებს, მართლა შეხვდა თუ არა ირაკლი კორძაიას, მხოლოდ იმას ამბობს, რომ „ოცნებასთან“ დაახლოებულ პირებთან შეხვედრებს მომავალშიც გააგრძელებს.

– მე ვაპირებ, გავაგრძელო შეხვედრები. საიდუმლო ინფორმაციები, რომელთაც ვაჟღერებდი, ბუნებრივია, ციდან არ მოდიოდა. ვაგრძელებ კომუნიკაციას ყველა პირთან, ვინც დაგვეხმარება კონკრეტული და თუნდაც სხვა საქმეების გახსნასა და გამოძიებაში. მე ამაში საერთოდ ვერ ვხედავ პრობლემას. საზღვარგარეთ იმიტომ წავედით, რომ უსაფრთხოება უფრო მეტად იყო დაცული, ვინაიდან იქაც კი ჩამყვა სუს-ის თანამშრომელი. ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციები მივიღე. ეს არ არის მხოლოდ ვანო მერაბიშვილის კადრები. აქ არის მთელი სისტემური პრობლემები, რომლებიც უკავშირდება თავად სუბელიანს, მის მიერ ციხის გაშავებას, – განაცხადა ტვ პირველის ეთერში სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელმა.





რაც შეეხება ირაკლი კორძაიას, ის თავის დროზე „ოცნების“ სერიოზული მხარდამჭერი იყო, რამდენიმე წლის წინ კი ქვეყნიდან გაქცევა მოუხდა.

ხელისუფლების წარმომადგენლებთან მას ურთიერთობა ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობის მერე დაეძაბა. კორძაია ამბობდა, რომ მისი მეგობრის მკვლელობის უკან გია უდესიანი იდგა, რომელსაც ირაკლი ღარიბაშვილის სიმამრის დისშვილი ზვიად ჯანყარაშვილი მფარველობდა. მას ჯანყარაშვილთან სასამართლო დავაც კი ჰქონდა.

ქვეყნიდან გაქცეულმა კორძაიამ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ გერმანელ ჟურნალისტებს ბევრი სკანდალური ინფორმაცია გადასცა.

ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანაზე ის გასული წლის დასაწყისში ალაპარაკდა, ქართულ მედიასთან საუბარში ამბობდა, რომ ამ ამბის შესახებ მთელი სამინისტრო ინფორმირებული იყო.

ციხის საკნიდან გაყვანის შესახებ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა 2013 წლის 17 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე ისაუბრა.

მერაბიშვილის ინფორმაციით, 14 დეკემბერს, ღამის საათებში, ციხის ადმინისტრაციამ იგი მთავარ პროკურორთან შესახვედრად გაიყვანა. ყოფილი პრემიერის მტკიცებით, მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა ოთარ ფარცხალაძემ მას კითხვები ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე დაუსვა. მერაბიშვილმა სამართალდამცავებს ციხის ადმინისტრაციის კამერების ჩანაწერების შემოწმებისკენ მოუწოდა, თუმცა მის ამ განცხადებას არანაირი სამართლებრივი რეაგირება სახელმწიფოს მხრიდან არ მოჰყოლია.

ციხიდან გაყვანის საქმეს გავლენა ჰქონდა ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაზე:

სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელის თქმით, სუბელიანი სხვა არანაკლებ სკანდალური ფაქტების ამსახველ ფირებს ფლობს.

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ამბობს, რომ სუბელიანი იმის შესახებაც ფლობს კადრებს, თუ როგორ უსმენენ მატროსოვის ციხეში გამოკეტილ ყოფილ მაღალჩინოსნებს.

ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი კი აცხადებს, რომ კანონიერ ქურდებთან მოლაპარაკებებს მირზა სუბელიანი აწარმოებდა. როგორც ნადარეიშვილი ამბობს, ქურდებს მისი მეუღლის წინააღმდეგ უნდა მიეცათ ჩვენება.

# ანრი ოხანაშვილი: „თეა წულუკიანის გადადგომის მოთხოვნა სწორი არ არის“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ანრი ოხანაშვილი, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო ანრი, როგორია ხელისუფლების პოზიცია მთავარი პროკურორის შერჩევის საკითხზე? არასამთავრობო სექტორის ნაწილი, რომელსაც მთავრობამ შერჩევის პროცესში ჩართულობისკენ მოუწოდა, თეა წულუკიანის გადადგომას ითხოვს.***

– ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გავაკეთეთ. მე ვფიქრობ, რომ ეს მოთხოვნა არ არის არც კორექტული და არც დასაბუთებული. შესაბამისად, გაცდენილია იმ ჩარჩოსა და ფარგლებს, რომლებზეც შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციები და შესაბამისი სექტორი საუბრობდნენ. ამიტომ თვალი იმ რეალობას უნდა გავუსწოროთ, რომელიც კანონმდებლობით გვაქვს. კანონმდებლობით კი განსაზღვრულია, რომ იუსტიციის მინისტრი აწარმოებს მოლაპარაკებას ფართო ჩართულობით.

ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ფართო ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნებოდა და პროცესი ასეც მიმდინარეობს. შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები სრულდება და ამიტომ ყველას ჩართულობა ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია. არასამთავრობო სექტორს ვთხოვ და მოვუწოდებ, რომ დიალოგის ფორმატში გადავიდნენ, რათა მათი ჩართულობითა და მაქსიმალური გამჭვირვალობით მოხდეს ახალი მთავარი პროკურორის შერჩევა. ვფიქრობ, ულტიმატუმით საუბარი სწორი ფორმა არ არის.

წულუკიანის გადაყენების მოთხოვნას ამ პროცესებთან არანაირი კავშირი არ უნდა ჰქონდეს. აბსოლუტურად არადროულია ამ საკითხის დაყენება, ვინაიდან ის მოთხოვნები, რომლებზეც არის საუბარი, აბსოლუტურად არ არის დასაბუთებული. ახლა მთავარია, გამჭვირვალედ შეირჩეს მთავარი პროკურორის კანდიდატურა. ამისთვის კი ყველა უნდა ჩაერთოს ამ პროცესში.



***– იმ გვარებზე, რომლებიც აქამდე დასახელდა, მაგალითად, კახი კახიშვილი, შალვა შავგულიძე და სხვები, კონკრეტულად ვინმეზე თუ მიმდინარეობს გუნდის შიგნით კონსულტაციები?***

– კონსულტაციები, რამდენადაც ვიცი, იუსტიციის სამინისტროშია დაწყებული. რაც შეეხება კონკრეტულ სახელებსა და გვარებს, მათზე წინასწარ ვერაფერს გეტყვით.

***– სისტემის დანგრევაზეა მთელი ამბავი. პოლიტიკურად ნეიტრალური პროკურორის დანიშვნა რამდენად არის შესაძლებელი?***

– მთავარი პროკურორობის კანდიდატები უნდა იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ექნებათ მაღალი კვალიფიკაცია, გამოცდილება და, რაც მთავარია, საზოგადოების უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერა.

***– პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე არ უნდა იყოს საუბარი?***

– თავისთავად პროკურატურის ძირითადი არსი არის ის, რომ მან უნდა იხელმძღვანელოს კონსტიტუციით, კანონის ფარგლებში. აქ არანაირ კავშირში არ არის რამე სახის პოლიტიკური კუთვნილება. პროკურორი თავისთავად პოლიტიკისგან დაცლილი უნდა იყოს.

***– არასამთავრობოების მხრიდან კანონმდებლობის შეცვლაზეც არის საუბარი, რომ კანონი ვერ უზრუნველყოფს ნეიტრალური და მიუკერძოებელი მთავარი პროკურორის დანიშვნას, რომ იუსტიციის მინისტრს აქვს აბსოლუტური უფლება.***

– თუკი მათ აქამდე ეს პროცესი არ მოსწონდათ და არ ეთანხმებოდნენ მას, მაშინ რატომ არ იყო აქამდე ამ საკითხზე დისკუსია, რომ აქამდე შეგვეცვალა კანონმდებლობის ჩანაწერი?! ამიტომ, მე ვფიქრობ, ამ კანონმდებლობის ჩანაწერს ისინი ეთანხმებიან. ზოგადად, ეს ძალიან გამჭვირვალე პროცესია, ამიტომ, ვფიქრობ, ეს უფრო პიროვნულია. მე მათ ვურჩევდი, პიროვნული გვერდით გადადონ და პროცესში ჩაერთონ, რომ მეტი გამჭვირვალობა და უკეთესი კანდიდატის შერჩევა იყოს უზრუნველყოფილი.

***– კომისიის მუშაობაზეც მინდა გკითხოთ. შეგიძლიათ კონკრეტული გვარები გვითხრათ, რომელთა გამოკითხვასაც აპირებთ. თუ არის ეს სია უკვე შედგენილი?***

– მოგეხსენებათ, რომ პირველი შეხვედრა საორგანიზაციო საკითხებს დაეთმო. როგორც კი საქმის მასალები მოგვეწოდება, კიდევ უფრო დეტალურად დავსახავთ კომისიის მუშაობის ინტენსიურობას.



რაც შეეხება კონკრეტულ სახელებსა და გვარებს, ამ ეტაპზე ნამდვილად ვერ გეტყვით. მიზეზი ძალიან მარტივია: ნებისმიერი პირი, მისი თანამდებობის მიუხედავად, შეიძლება იყოს გამოძახებული და ახსნა-განმარტება ჩამოვართვათ, თუკი კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ესა თუ ის კონკრეტული პირი კავშირშია ამ საქმესთან ნებისმიერი ფორმით.

***– რა განწყობა გაქვთ პირადად თქვენ, რა შედეგი შეიძლება დადოს კომისიამ და რამდენად იქნება კომისია მართლაც ობიექტური?***

– სწორედ ამიტომ არის უზრუნველყოფილი ოპოზიციური პარტიების ჩართულობა, ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლობა უმრავლესობის სახით კომისიაში, რათა არც ერთი შეკითხვა არ გაუჩნდეს არავის, რომ ხელისუფლებას რამე ინტერესი აქვს ამ საქმეში. ჩვენი მთავარი ინტერესი არის ის, რომ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდეს. მთავარი ამოცანაა, საზოგადოებას შეკითხვები არ დარჩეს გამოძიების ობიექტურობასთან მიმართებით.

***– ფიქრობთ თუ არა, რომ ამ საქმემ ხელისუფლება დააზარალა და პროკურატურას მოუხდა იმ ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც არ იყო დაგეგმილი?***

– ამ საქმესთან დაკავშირებით წინასწარ განწყობებს არ ვიქმნი. როდესაც იურისტი ხარ, ჯერ საქმეში უნდა ჩაიხედო და შემდეგ უნდა გასცე პასუხი ამა თუ იმ კითხვას. კონკრეტულად რასთან გვქონდა საქმე, რეალურად რა მოხდა, ამაზე შემიძლია, მას შემდეგ გესაუბროთ, რაც საქმის დეტალები და მასალები ხელთ გვექნება.

მაგალითად, როდესაც ზვიად კუპრავაზეა საუბარი, ცალსახაა, რომ მისი მიზანი მხოლოდ პოლიტიკურია. ეს ადამიანი არის ერთი რევანშისტი, რომელიც ნაციონალური მოძრაობის აქტივისტია. რაც შეეხება სხვას, ჯანსაღი საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულებაა ამ საქმეზე არსებულ შეკითხვებზე პასუხების მიღება. ჩვენი ამოცანაა, რომ სწორედ საზოგადოებას გავცეთ პასუხები მათ შეკითხვებზე.

რაც შეეხება პოლიტიკურ აქციებსა და ამ საქმეს შორის კავშირს, ძალიან ბევრი ადამიანი იყენებს მას და ცდილობს, გამოიყენოს.

***– თქვენი პოზიცია მაინტერესებს, შედეგის თვალსაზრისით თუნდაც ნაციონალური მოძრაობა აქედან რამე პოლიტიკურ შედეგს მიიღებს?***

– შედეგზე ჯერ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ეს პროცესი დაწყებულია.

# „წულუკიანი იუსტიციის მინისტრად თავიდანვე არ უნდა დაენიშნათ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, იურისტი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

***– ბატონო შალვა, ხორავას ქუჩის ტრაგედიამ, ვხედავთ, რა პროცესებიც გამოიწვია. საზოგადოებაში სერიოზული პროტესტია და ამას ქუჩის აქციებიც ადასტურებს. რას იტყვით თქვენ, როგორც იურისტი? მოთხოვნებიც იზრდება და იზრდება.***

– ამ ეტაპზე მთავარი მოთხოვნა წულუკიანის გადადგომაა. მოდით, დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ თავის დროზე კბილაშვილი შეიქმნა უკბილო, დაჯდა, ექსკურსიებს გადააყოლა მთელი თავისი ენერგია, იმის მაგივრად, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადმოეყვანა პროკურატურა საბჭოთა მოდელიდან დემოკრატიულ მოდელზე. ამას მოჰყვა ის, რომ პროკურატურა ჩამოემხო თავზე. მერე მივიდა სხვა ჯგუფი, ე.წ. ფარცხალაძე-შოთაძის დაჯგუფება, რომლებმაც რაც იცოდნენ, ის გააკეთეს. ესენი ყველა ადეიშვილის დაზრდილი კადრები არიან. რაც ისწავლეს, ის გააკეთეს, რასაც უნდოდათ, იმას კერავდნენ, ვისაც უნდოდათ, იმას უკეთებდნენ საპროცესოს და ვისაც უნდოდათ, ბრალს უყენებდნენ. მოკლედ, სასწაულები ხდებოდა პროკურატურაში. ნელნელა ყველაფერი გამომზეურდება. ეს არის დასაწყისი იმ უბედურებისა, რომელიც 2012 წლიდან დღემდე პროკურატურაში ხდებოდა!

***– კოჰაბიტაციამ მოიტანა ეს ყველაფერიო და თქვენც ასე ფიქრობთ?***

– კოჰაბიტაციის შედეგია თუ სხვა რამის, სამარცხვინოა, როდესაც ბოკერია დღეს გამოდის და ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის შემსწავლელი კომისიის წევრად გვევლინება. ამის იქით სადღა უნდა წახვიდე?! ამას ჩამოშლაც ჰქვია, დანგრევაც და თავზე დამხობაც! ფაქტობრივად, სისტემას შიგნიდან გამოუღეს ამ კოჰაბიტირებულებმა გული! ბიძინა ივანიშვილს ვეუბნებოდით, რომ ასე იქნებოდა. გარდაუვალი იყო ეს! დამპალი თესლიდან კეთილი ნაყოფი არ აღმოცენდება! ცალსახა იყო, რომ ეს მივიდოდა აქამდე. დღეს გამოსავალზე უნდა ვიფიქროთ.

***– წულუკიანის გადადგომაში გამოსავალი არის?***

– წულუკიანზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია. მოსაშორებელია ეს ადამიანი! საერთოდ არ იყო დასანიშნი თავის დროზე. თქვენთანაც ინტერვიუში არაერთხელ მითქვამს, რომ სასამართლო რეფორმა, რომელიც ჩავარდა, იყო წულუკიანის დამსახურება! არ ვიცი, ამას ავალებდა ვინმე თუ თავისი სურვილით აკეთებდა. მე მგონი, უფრო – თავისი სურვილით. გახსოვთ, საჯარო რეესტრის თანამშრომელსაც გადაეფარა, ახლა შოთაძეს გადაეფარა. მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურში ნამუშევარია, ეს ქალი არის საბჭოთა მენტალობის ადამიანი, პლუს მონური ფსიქოლოგიით და მისგან რეფორმატორს ვერანაირად ვერ მივიღებთ.

***– ჩააგდო რეფორმა?***

– ოთხი პროკურორი რომ დაგემხობა თავზე, ნამუსიც კარგი საქონელია! გადადგომაც არ უნდა გჭირდებოდეს, თავმოყვარე ადამიანი ისედაც უნდა მიდიოდე, მით უმეტეს, კარგად აიწყო ცხოვრება და სიცოცხლის ბოლომდე ეყოფა. წავიდეს ახლა და დაგვანებოს თავი. მოვიდეს ის ხალხი, ვისაც შეუძლია მართლა რეფორმების გატარება. ან სტრასბურში რა გააკეთა, რამდენჯერ დაგვიბრუნეს სია უკან. სირცხვილია, სირცხვილი! ხომ ვნახეთ, რა მოგვიტანა ამ ყველაფერმა. დიდი ამბები დატრიალდება.



**შალვა ხაჭაპურიძე: „არ გვინდა რევოლუციები, რომ ამ გაბრაზებულზე კიდევ უფრო საშინელი ძალა არ მოვიდეს“**

***– დიდ ამბებში რას გულისხმობთ?***

– სერიოზული აქციები აგორდება. თუ ვინმეს ვიცნობ და არ ვიცნობ, ყველა ამ აქციაზე წავიდა! ვინც არ იყო 2003-ში და 2012-ში, ისინიც მიდიან, ანუ ხვდებით, რა მდგომარეობის წინაშე დააყენეს ქვეყანა წულუკიანმა და იმ ბანდიტებმა, რომლებიც პროკურატურაში იყვნენ ჩაბუდებული?! ამას დაამატეთ ეკონომიკა, გაჭირვება. კი გაიძახიან, კარგადაა ცხოვრებაო, მაგრამ ასე რომ არ არის, ყველა ვხედავთ. კარგი მენეჯერები და სხვა ქვეყნების გამოცდილება სჭირდება ქვეყანას. აქ კი მენეჯერების ნაცვლად მოდის ხალხი, რომლებიც გაიძახიან, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, იურისპრუდენციაში ჩამკვდარია ყველაფერი. თუ ეს სუბელიანი მალავდა, ფარავდა, ზეწოლას ახდენდა, შე კაიდედმამიშვილო, სად იყავი ამდენი ხანი?!

***– რამდენად შეძლებს შს სამინისტრო პროკურატურის შეცდომების გამოსწორებას?***

– აქ მხოლოდ პროკურატურის შეცდომები არ არის. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს შს სამინისტრო. ეს მათი ძიების საქმეა და ზედამხედველობას უწევს პროკურატურა. ამხელა დროა გასული და პროფესიონალებმა ვიცით, რომ ძალიან რთულია ასეთი რაღაცების კეთება. მკვლელობა იხსნება მკვლელობიდან ერთ კვირაში. მერე ძალიან ჭირს მკვლელობების გახსნა.

***– სუბელიანი იმიტომ დააკავეს, რომ ეს მუხტი ჩაეცხროთ?***

– ეს უნდოდათ, მაგრამ, პირიქით, ამან მუხტი უფრო გაზარდა, იმიტომ, რომ აშკარაა, კიდევ ახალი შოუ კეთდება! ეს ქვეყანა არის ჩვენი, ჩვენი შვილების და ასე ერთეულების ბედნიერება ვერ აეწყობა ამხელა მასის უბედურებაზე! ეს ვერც ერთმა გუნდმა ვერ გააცნობიერა, ვინც კი ხელისუფლებაში მოვიდა.

***– წულუკიანის გადაყენების გარდა, ჯერჯერობით, ხელისუფლება ზაზა სარალიძის ყველა მოთხოვნას დაჰყვა. გადადგა შოთაძე, შეიქმნა კომისია, დააკავეს სუბელიანი...***

– შოთაძეს წულუკიანიც წაჰყვება და კვირიკაშვილიც. აგერ მე და აგერ თქვენ, გეუბნებით პირდაპირ. ამ მთავრობიდან მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩება. შესაძლოა, დარჩნენ ცქიტიშვილი, გახარია და კახიშვილი.

***– ანუ ეს პროცესი სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს?***

– რა თქმა უნდა! ეს გარდაუვალია. ხომ ვნახეთ უკვე, როგორმა მოთხოვნებმა გაიჟღერა? გიორგი შენგელაიამ გააჟღერა, ბიძინა, წადიო! ყველა კარგად ხვდება, ბიძინა, წადი რასაც ნიშნავს. აი, აქამდე მიიყვანეს სიტუაცია ამ უტვინოებმა. მე რომ ბიძინა ივანიშვილის ადგილზე ვიყო, ამ მთავრობას დავითხოვდი, არ მივცემდი ამათ სალაპარაკოს. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ამ მიტინგების უკან რევანშისტული ძალები აფათურებენ ხელებს. აქ მთავარია, პროცესი გადარჩეს, ანუ ქვეყანა უნდა წავიდეს დემოკრატიული გზით და არ გვინდა რევოლუციები, რათა კიდევ უფრო საშინელი ძალა არ მოვიდეს ამ გაბრაზებულზე.

***– რა უნდა გაკეთდეს, რომ ვითარება არ გამწვავდეს?***

– გონიერი კაცი გააკეთებს ასე: ამ მთავრობას დაითხოვს, რამდენიმე კაცს დატოვებს იქიდან. დაამტკიცებს ახალ მთავრობას, ქვეყანას მიიყვანს არჩევნებამდე, პოლიტიკურ პარტიებს მისცემს არსებობის საშუალებას, რომ გაჩნდეს პოლიტიკური ბაზარი და 2020-ში ჩაატარებს ნორმალურ დემოკრატიულ არჩევნებს. შეეცდებოდა პოლიტიკურად, რომ ხელისუფლებაში არ მოვიდნენ რევანშისტული ძალები.

ჩვენ უნდა ვიფიქროთ ქვეყნის მომავალზე და არა პირადად ჩვენს მომავალზე. კი ბატონო, ბიძინა ივანიშვილმა დიდი საქმე გააკეთა, ტირანი მოგვაშორა, მაგრამ ის მოაშორა და კვაზი ადეიშვილები გამოაჩინა. ესენი ყველანი ადეიშვილის ხელის ბიჭები იყვნენ, რაღაცა თვალმოკრული ჰქონდათ, რაღაცა ყურით განაგონი და ისეთივე მოდელები შექმნეს!

***– წულუკიანს ხომ არ ჰქონია შეხება იმ სისტემასთან და ადეიშვილთან?***

– წულუკიანი საერთოდ მოვლენაა. სამარცხვინო არსებაა! მეეჭვება, ეს ქალი იურისტი იყოს! ჯერ კიდევ როდის ვყვიროდი, რომ მურუსიძე და ჩინჩალაძე მაგან დაგვასხა თავზე. ჩააგდო პირველი რეფორმა, მეორე რეფორმა, მერე გამოიგონა რაღაცა მესამე ტალღა და ბოდიალობს რაღაცებს.

***– წულუკიანი სტრასბურის სასამართლოში მუშაობდა.***

– სტრასბურში მუშაობდა კლერკად და კიდეც დაუბეჭდეს მაგას, იურისტის დიპლომი არ გააჩნიაო. არ არის ეს ადამიანი იურისტი და როგორ არის ჩვენი საქმე, იცით? არაიურისტს ჩაბარებული აქვს მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა საქართველოში! იუსტიციის სამინისტრო, გასაგებია, არც ბრწყინავდა არასდროს საქმის კეთებით, მაგრამ სასამართლო რეფორმას რა დამართა! ნახეთ, რეზერვში ვინ არიან შეყვანილი?! მკვდარი მოსამართლეები! 7 წლის წინ გარდაიცვალა ვაჟა სართანია, ჩემთან მუშაობდა, მე ვიყავი მაგის თავმჯდომარე და ვაჟა სართანიაა შეყვანილი სარეზერვო სიებში. საერთოდ სად ბანაობს ეს ხალხი.

***– ჯერჯერობით ვაკანტურია მთავარი პროკურორის სავარძელი. ვერ შეირჩა შესაფერისი კადრი?***

– როგორც ჩანს, არავის უნდა ამ ჭაობში შესვლა. მე რომ მეხვეწონ, მაგალითად, მანდ მიმსვლელი არა ვარ. თავიდან კბილაშვილის პირველ მოადგილედ მნიშნავდა ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ ერთი ამბავი ატეხა კბილაშვილმა, არა, მე ჩემი გუნდით უნდა მივიდეო. კი მივიდა მაგარი გუნდით, ყველაფერი თავზე დაამხო. ახლა მარტო პროკურატურას აღარაფერი ეშველება, ისეთი ღრმა პროცესებია წასული, რომ...

***– მთლიანი სისტემა უნდა შეიცვალოს?***

– უნდა შეიცვალოს. უნდა შეიქმნას რეფორმატორთა ჯგუფი. ამაში უნდა ჩაერთონ პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი იურისტები, ასევე აუცილებლად გვჭირდება გერმანელი სპეციალისტები. დღე და ღამე უნდა იმუშაოს რეფორმატორთა ჯგუფმა და გაატაროს ცვლილებები. სერიოზული პაკეტებია მოსამზადებელი. უამრავი მოდელია, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მოერგება. ვინმეს თუ ჰგონია, მურუსიძე და ჩინჩალაძე მართლა უვადოდ არიან დანიშნული, ძალიან შემცდარან. ჩვენ ველოდებოდით, რომ გამოჩნდებოდა რომელიღაც საქმე, რომელიც მთლიანად ჩამოშლიდა ამ სისტემას.

ამაზე „ქართული ოცნების“ დეპუტატებიც საუბრობდნენ, გვარებს არ დავასახელებ. ისინი ხედავდნენ, რა ტრაგედია ტრიალებდა პროკურატურაში, სასამართლოსა და იუსტიციაში. ერთადერთი, კახიშვილის სისტემაა და როგორ ახერხებს ეს კაცი, ძალიან მიკვირს. ირგვლივ ხომ ყველაფერი ძირმომპალია! ყოჩაღ მას. ბრეჟნევის უძრაობის ხანაში ვართ დღეს, ხალხო.

***– გრძნობს ამ საფრთხეებს ხელისუფლება?***

– თუ ამას ვერ გრძნობენ, მაშინ ძალიან ცუდად ყოფილა მაგათი საქმე! რაც გამსახურდიას დროს ვერ მიიღო ხალხმა, რაც შევარდნაძის დროს ვერ მიიღო, რაც 2003 წლის ვარდების რევოლუციის მერე ვერ მიიღო, რაც 2012 წლიდან დღემდე ვერ მიიღო, აი, იმას ყველაფერს ერთად დღეს ითხოვს!

აი, ამას ჰქვია სისტემის ნგრევა! ძალიან მძიმე სიტუაციაა, მაგრამ ჯერ კიდევ დროა და შეიძლება სიტუაციის შველა. თუ მოინდომებენ, გამოვლენ რყევების გარეშე, ხოლო თუ სირაქლემის პოზაში დარჩებიან, თავზე დაემხობათ ყველაფერი! ამ ყველაფერს უნდა ნება და, თუ ამას ხელისუფლება ვერ გრძნობს, მაშინ მართლა ძალიან ცუდად ყოფილა საქმე.

# ირაკლი კობახიძე: „რუსული აგრესიის შესაჩერებლად ზომები მივიღოთ“



– საპარლამენტო ასამბლეა იქნება ძალიან ეფექტური მექანიზმი იმისთვის, რომ ერთად გავუწიოთ ლობირება ჩვენს სახელმწიფოებრივ, ეროვნულ ინტერესებს და ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ საქართველო-მოლდოვა-უკრაინის საპარლამენტო ასამბლეასთან დაკავშირებით განაცხადა.

ჟურნალისტებთან საუბრისას ირაკლი კობახიძემ უკრაინაში ვიზიტი შეაჯამა, რომლის ფარგლებშიც სამმა ქვეყანამ საპარლამენტო ასამბლეა დააფუძნა.

მისი თქმით, ასამბლეის პირველი სესია შემოდგომაზე თბილისში გაიმართება.

– საქართველოს, უკრაინას, მოლდოვას აქვთ საერთო გამოწვევები და მიზნები. სამივე ქვეყნის მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი არის ევროკავშირში ინტეგრაცია. შესაბამისად, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ერთხმად ვისაუბროთ იმ გამოწვევებთან დაკავშირებით, რომლებიც დაკავშირებულია ევროკავშირში ჩვენს გაწევრიანებასთან. ამ კუთხით, საპარლამენტო ასამბლეა ძალიან ეფექტური მექანიზმი იქნება იმისთვის, რომ ერთად გავუწიოთ ლობირება ჩვენს სახელმწიფოებრივ, ეროვნულ ინტერესებს და რომ ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ასევე, სხვა მიმართულებით გვექნება საინტერესო დისკუსიები ამ ფორმატში. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ პირველი ასამბლეა შედგება თბილისში შემოდგომაზე, ამასთან დაკავშირებით უკვე შევთანხმდით ჩემს კოლეგებთან ერთად, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

როგორც ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, საპარლამენტო ასამბლეაზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იქნება ერთობლივი ზომების მიღება რუსული აგრესიის შესაჩერებლად.

„ჩვენი საერთო ეროვნული გამოწვევა, არის, რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა. სამივე ქვეყანას აქვს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა და ამ კუთხით, ჩვენი თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ძალიან მნიშვნელოვანია, ერთობლივად მივიღოთ ზომები იმისთვის, რომ შევაჩეროთ რუსული აგრესია და ეს იქნება, საპარლამენტო ასამბლეის განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი საგანი. არის საერთო მიზნები, საერთო გამოწვევები და ამ ყველაფერთან დაკავშირებით ჩვენ ვიმსჯელებთ ერთობლივად, ჩვენს უკრაინელ და მოლდოველ მეგობრებთან და, დარწმუნებული ვარ, რომ თანამშრომლობის ეს ფორმატი იქნება ძალიან წარმატებული, – განუცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ ჟურნალისტებს.

**ინტერპრესნიუსი**

# საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში კანდიდატურის მოხსნა დაუშვებელი იქნება



პრეზიდენტობის კანდიდატს, არჩევნების მეორე ტურში გასვლის შემთხვევაში, საკუთარი კანდიდატურის მოხსნა არ შეეძლება. „საარჩევნო კოდექსს“ ემატება მუხლი, რომლის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში კანდიდატის მოხსნა დაუშვებელი იქნება.

ამასთან, ცვლილების თანახმად, პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები გაიმართება, თუ არჩევნების პირველ ტურში მონაწილე ყველა კანდიდატი კანდიდატურას მოხსნის ან თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო.

საარჩევნო კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა და ის პარლამენტს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარედგინება.

კანონპროექტის ინიციატორები არიან პარლამენტის წევრები: გედევან ფოფხაძე, დავით მათიკაშვილი, ანრი ოხანაშვილი, ლევან გოგიჩაიშვილი, ეკა ბესელია და ნინო გოგუაძე.

**ინტერპრესნიუსი**

# ბიძინა გუჯაბიძე: „ზაზა სარალიძემ ნაციონალები უნდა მოიშოროს“

გულიკო ბალაძე

როდის გახდა ცნობილი ხელისუფლებისთვის, რომ პროკურატურაში ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით გადაცდომა თუ დანაშაული იყო ჩადენილი? პარლამენტის წევრი ბიძინა გუჯაბიძე „ახალ თაობასთან“ ამ და სხვა საკითხებზე საუბრობს.

***– ბატონო ბიძინა, კვირას აქციის ჩატარების მიზეზი შვილმკვდარი მამების მიერ სამართლის ძებნაა. ეს ძალიან დიდ ბიძგს აძლევს მათ აქციებს.***

– აქციების დამგეგმავ პარტიებს ეს არ აინტერესებთ. სხვის უბედურებაზე თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელება სურთ. შვილმკვდარ მამებსა და მათ პრობლემებს თავიანთი მიზნებისთვის იყენებენ.

***– მაინც რა მიზნებისთვის იყენებენ?***

– უნდათ, პოლიტიკური კრიზისი გამოიწვიონ, მაგრამ არც სიტუაციაა პოლიტიკური კრიზისის გამოსაწვევად და არც თვითონ არიან ღირსნი, რომ ხალხი გვერდში დაუდგეთ. ნაციონალები, ლეიბორისტები და მათი ხელქვეითები პოლიტიკურ კრიზისს ვერ შექმნიან. მათი მცდელობა უნაყოფო იქნება.

***– ანუ შვილმკვდარ მამას არ გულშემატკივრობენ და რიგგარეშე არჩევნების ჩატარება უნდათ?***

– სავარაუდოდ, ასეა. პოლიტიკურ აქტიურობას ვერავის დავუშლით, მაგრამ არასწორად არჩევენ დროს. ახლა კრიზისი მომწიფებული არ არის. ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ამით უნდათ იხეირონ და ავნონ ქვეყანას.

***– როგორ?***

– ტურისტული სეზონია. ოპოზიცია ცდილობს, კრიზისი შექმნას და ქვეყანას ზარალი მიაყენოს ტურისტული სეზონის ხარვეზებით ჩატარებით, რაც კრიზისულ სიტუაციაში გამორიცხული არ არის.

ქვეყანაში ნაკლები ტურისტი შემოვა. ნაკლები თანხა შევა ბიუჯეტში. ნაკლები შემოსავალი გამოიწვევს პენსიებისა და სახელფასო ვალდებულებების შეუსრულებლობას. საბიუჯეტო ვალდებულებების შეუსრულებლობა დააზიანებს ქვეყანას.

ოპოზიციური პარტიები ცდილობენ, ქვეყანას შემოსავლების პოტენციალი შემცირდეს და გართულებები გამოიწვიონ. თუმცა, ამით მაინც ვერ გამოიწვევენ სოციალურ კრიზისს. სოციალური საკითხების გამო საქართველოში კრიზისი არასოდეს ყოფილა. პოლიტიკური ფრონტის შესაქმნელად დღევანდელი ოპოზიციური პარტიები გამოუსადეგრები არიან. არსებული ოპოზიციური პარტიების პოლიტიკური და მორალური კაპიტალი ნულის ქვემოთაა.

***– პოლიტიკური პარტიები მას შემდეგ გააქტიურდნენ, რაც შვილმკვდარი მამები რუსთაველზე გამოვიდნენ სამართლიანი გამოძიების ჩატარებისა და დამნაშავეთა დასჯის მოთხოვნით. რას იტყვით სარალიძისა და დადუნაშვილის ტკივილზე?***

– მათ ლეგიტიმური პრეტენზიები აქვთ, მაგრამ სარალიძის მიერ საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა არასწორი ქმედებაა და ცოტა საეჭვო აზრებს აღუძრავს ადამიანს, რადგან ნაცმოძრაობის ლიდერებია თუ ზონდერები – ყველა ცდილობს, სათავისოდ გამოიყენოს შვილმკვდარი მამების ტკივილი.

ზაზა სარალიძეს საზოგადოებამ შესთავაზა მხარში დგომა, ოღონდ სისხლიანი ძალა, ნაცმოძრაობა ჩამოეცილებინა, მაგრამ, ფაქტობრივად, მან უარყო საზოგადოების შეთავაზება და პოლიტიკური განცხადებები აკეთა.

თავის დროზე რომ არ დაეწყო თავის შეხედულებებში პოლიტიკური სპეკულაციების ჩართვა, თავისთავად მაინც მიაღწევდა იმ შედეგს, რომელიც უნდოდა. შესაბამისად, უფრო ადვილი იქნებოდა პრობლემის მოგვარება, ვიდრე ამ პერიოდში დროის გაწელვით ხდება.

***– ზაზა სარალიძე პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკის ჩარევის გარეშეც მიაღწევდა იმ შედეგს, რომელსაც დღეს მიაღწია?***

– რა თქმა უნდა. მკვლელობებში, ადამიანთა წამებებში, ქონების ჩამორთმევებში, აქციების დარბევებში შემჩნეულ ძალას გვერდით რომ დაიყენებ, საზოგადოების დიდი ნაწილი აღარ გენდობა. ამიტომ მათი აქციები არაეფექტურია.

ხელისუფლებაში მყოფი პასუხისმგებლობის მქონე ძალა ყველანაირად ცდილობს, პროცესი სამართლებრივ ჩარჩოში გადაიყვანოს და, ყველანაირი ანგაჟირებული პოლიტიკური ძალების მოქმედების გარეშე, სამართლებრივად გასცეს პასუხი ყველა იმ კითხვას, რომლებიც დაგროვდა და არსებობის უფლება აქვს.

***– რა ხდებოდა ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის გამოძიებასთან დაკავშირებით? რბილად რომ ვთქვათ, რატომ გამოჩნდა გამოძიება არაეფექტური?***

– სამართალდამცავი სისტემა რომ დასახვეწია, იქ მომუშავე პიროვნებებს კვალიფიკაცია რომ აკლიათ და ტენდენციური მიმართულებები რომ არსებობს, ამას არავინ უარყოფს, არც ხელისუფლება. ხელისუფლების გადაწყვეტილება იყო ის, რაც დაინახეთ – პროკურორი გადადგა. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ პიროვნებებს დაშვებული ჰქონდათ შეცდომები, შეიძლება – დანაშაულიც. თუ დანაშაული გამოიკვეთა, ამას გამოძიება დაადგენს. ასევე, საგამოძიებო კომისია შეიქმნა.

***– შოთაძეზე ზეწოლა ხომ არ ხორციელდებოდა ან შანტაჟის ქვეშ ხომ არ ჰყავდა შიგნით ზოგიერთ პირს, ვისზეც ზაზა სარალიძე აკეთებს აქცენტს?***

– ცალსახად ამის თქმა გამიჭირდება, მიუხედავად იმისა, რომ ამის რაღაც ნიშნები არსებობს. ამას გამოძიება დაადგენს. გამოძიება ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება და დაზარალებული პირები, სარალიძე, დადუნაშვილი თუ სხვები ხელს შეუწყობენ გამოძიების ნორმალურ ჩარჩოებში წარმართვას.

***– ამბობთ, შოთაძეზე ზეწოლის რაღაც ნიშნები არსებობსო.***

– არ ვამბობ, რომ ეს დადასტურებული ფაქტია. შეიძლება ადამიანმა ასე იფიქრო.

***– ბევრი პიროვნების მიმართ ჰქონდათ მაკომპრომეტირებელი მასალები, ჩანაწერები, ვიდეოფირები. ამიტომ გეკითხებით, გამორიცხავთ, რომ მსგავსი მაკომპრომეტირებელი მასალები სისტემის შიგნით სარალიძის მკვლელობის საქმის გაყალბებაში დაინტერესებულ პირებს ან დანაშაულის ჩამდენებს, შოთაძეზეც ჰქონოდათ და აშანტაჟებდნენ?***

– თითქოს სუბელიანს ჰქონდა რაღაც ჩანაწერები, მაგრამ შემდეგ უარყვეს, თითქოს ამას საფუძველი არ ჰქონდა. შოთაძე დაშანტაჟების გამო არ გადამდგარა. ის გადადგა პროკურატურის სისტემაში არსებული ხარვეზების გამო, პასუხისმგებლობა იგრძნო. ახალი გამოძიებისთვის ხელი რომ არ შეეშალა, გადადგა.

***– მაშინ რისი ეშინოდა შოთაძეს, ვინც ხელი შეუშალა გამოძიებას და ვინც, როგორც სარალიძე ამბობდა, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის მტკიცებულებები გაანადგურა (თუ ეს მართალია), მის მიმართ მიეღო ზომები?***

– ასეთ შემთხვევაში ყველა ნორმალურ ქვეყანაში მთავარი პროკურორი გადადგებოდა და ინფორმაციას მიაწვდიდა ახალ გამოძიებასა და საგამოძიებო კომისიას, რითაც დადგინდებოდა მისი ბრალეულობა.



შეიძლება შოთაძე სულაც არ იყო ასეთ ამბებში ჩარეული, საქმის გაყალბების კუთხით რამე გადაცდომა მას არ ჰქონია, თუმცა, იგრძნო მორალური პასუხისმგებლობა, რადგან მის სისტემაში მოხდა გადაცდომა და დანაშაული.

შოთაძის გადადგომით ყოველგვარი ეჭვი გაიფანტა, რომ ის რაღაცნაირად ჩართული იყო სარალიძისა და დადუნაშვილის მკვლელობის საქმის გაყალბებაში.

***– შს სამინისტროს იმედი გაქვთ, რომ ამ საქმეს სწორად გამოიძიებს?***

– საზოგადოებას აქვს შს სამინისტროსა და მისი ხელმძღვანელობის ნდობა. შს სამინისტროში არის ის შემადგენლობა, რომელიც ამ საქმეს წესიერად გამოიძიებს. იმედი მაქვს, ბევრ საკითხს ნათელი მოეფინება.

***– პროკურატურაში არაკომპეტენტური კადრებია და ამის ბრალია, რაც მოხდაო.***

– შეიძლება დანაშაულიც არის ჩადენილი და თანამდებობრივი გადაცდომაც. არაკომპეტენტურობის ნიშნებიც არსებობს. მე სახალხო დამცველის განცხადებას ვეყრდნობი. ის საქმეს გაეცნო.

***– როგორ შეიძლება, საქართველოს მთავარ პროკურატურაში ან თბილისის პროკურატურაში არაკვალიფიციური, არაკომპეტენტური კადრები მუშაობდნენ?***

– არაკომპეტენტური კადრები რომ არის, ეს პასუხისმგებლობა იგრძნო შოთაძემ და გადადგა.

***– თქვენი ხელისუფლებისთვის როდის გახდა ცნობილი, რომ პროკურატურაში ამ საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით გადაცდომა თუ დანაშაული იყო ჩადენილი?***

– აქციებმა ითამაშა დადებითი როლი. ხელისუფლებამ იგრძნო, რომ მთლად ისე არ არის საქმე, როგორც საზოგადოებაში იყო გავრცელებული, თითქოს გამოძიება სწორად ჩატარდა. ხელისუფლებაც გრძნობს პასუხისმგებლობას და შესაბამისად იქცევა.

***– გინდათ თქვათ, რომ პროკურატურიდან ხელისუფლებასაც არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ და ატყუებდნენ?***

– საიდან ატყუებდნენ, არ ვიცი, მაგრამ არასწორი ტენდენცია რომ იყო ამ მიმართულებით, ეს გამოჩნდა. არ ვარ დარწმუნებული, რომ პროკურორები შოთაძესაც არ ატყუებდნენ. ესეც ერთ-ერთი დამადასტურებელია იმისა, რომ შოთაძე სწორად მოიქცა. მთავარ პროკურორს რომ გატყუებენ, ამგვარ მოვლენას გულგრილად ვერ შეხედავ. სამართლებრივი პასუხისმგებლობის მქონე პირი ასე უნდა იქცეოდეს.

***– სააკაშვილის შემდეგ პროკურატურაში ბევრი არაფერი შეცვლილა, ისევ იმდროინდელი კადრებია. შეიძლება არ გინდათ ახლა ამაზე ყურადღების გამახვილება.***

– უხარვეზო სისტემა, ფაქტობრივად, არ არსებობს. როგორი იდეალური ხელისუფლებაც უნდა მოვიდეს, ხარვეზი მაინც იქნება, მაგრამ აქ ინერციის მომენტია – ვერც ერთი სტრუქტურა ვერ იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე, აბსოლუტურად ობიექტური.

***– მე ვსაუბრობ პროკურატურის გაწმენდაზე იმ კადრებისაგან, რომლებიც სააკაშვილის დანაშაულებში იყვნენ ჩართული.***

– პროკურატურაში არიან ძველი კადრები. ისინი შეგნებულად მოქმედებდნენ ამ პროცესში თუ კვალიფიკაციის ნაკლებობა იყო, ახლა დაწყებულმა გამოძიებამ უნდა გამოავლინოს.

***– თქვენ იცით, რას ნიშნავს უსამართლობის განცდა. სააკაშვილის დროს უსამართლობის მსხვერპლი იყო მთელი საზოგადოება. თქვენს ხელისუფლებას სამართალდამცავი სისტემა დამნაშავეებისაგან უნდა გაეწმინდა. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა.***

– სამართალდამცავი სისტემა და მთელი სახელმწიფო სტრუქტურები ძველი კადრებისაგან იყო გასაწმენდი, მაგრამ პარლამენტში ამბობდნენ, ყველას ვერ გავუშვებთ, ყველას ვერ დავიჭერთ და პასუხს ვერ ვაგებინებთ, რადგან მაშინ სახელმწიფო სტრუქტურები დაგვენგრევა და ხელისუფლება ქვეყანას ვერ მართავსო. შეიძლება ეს არასწორი მიდგომა იყო, რადგან ზოგი კადრი არაკვალიფიციური აღმოჩნდა, ზოგი – ტენდენციური.

***– დამეთანხმეთ, რომ თქვენი ხელისუფლება სააკაშვილის კადრების მძევალი აღმოჩნდა და შეიძლება მსხვერპლიც აღმოჩნდეს.***

– ღმერთმა დაგვიფაროს, მსხვერპლი აღმოჩნდეს.

***– უნდათ, ეს მოხდეს.***

– ფაქტობრივად, სააკაშვილის კადრებმა და იმ ტენდენციამ, რომელიც შედეგად მივიღეთ, ჩვენს ხელისუფლებას ავნო. ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, ღირსება, მდგომარეობა შეინარჩუნოს, რაც სავსებით შესაძლებელია. ყველა კითხვას შესაბამისი კომპეტენტური პასუხი გაეცემა.

***– მოგეხსენებათ, წულუკიანის გადადგომაზე ხელმოწერებს აგროვებენ.***

– ისეთი ადამიანები აქტიურობენ, ეჭვი მეპარება, მათი აზრი იყოს გათვალისწინებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში წულუკიანს ბრალი არ მიუძღვის. შეიძლება პროკურორის შერჩევაში მონაწილეობდა, მაგრამ 100%-იან პასუხისმგებლობას ვერავისზე ვერ აიღებს. განვითარებულ მოვლენებთან წულუკიანის მუშაობა დაკავშირებული არ არის.

***– თუმცა, სასამართლო სისტემის მდგომარეობა წულუკიანთან არის კავშირში. ის მოსამართლეები, რომლებიც ჩართული იყვნენ სააკაშვილის დანაშაულებრივ სქემებში, შემდეგ მაღალ თანამდებობებზე უვადოდ დანიშნული აღმოჩნდნენ.***

– ე.წ. კოაბიტაცია გამოცხადდა. კოაბიტაცია სხვა არაფერი იყო, თუ არა მათი ხელშეუხებლობა. ამით პროცესმა დამახინჯებული სახე მიიღო. თუ სააკაშვილს ტოვებ თანამდებობაზე, სხვამ რა დააშავა, სააკაშვილზე მეტი სხვებმა რა ჩაიდინესო. ამან გამოიწვია ხარვეზი. თითქოს ყველას ყველაფერი ეპატია. თუმცა, გახმაურებულ საქმეებზე გარკვეული პირები სასჯელს ახლაც იხდიან.

# რა შემთხვევაში ეკრძალება პირს ქონების გაჩუქება?

სამართლებრივად ჩუქების ხელშეკრულება არის, როცა მჩუქებელი დასაჩუქრებულს მისი თანხმობით ქონებას საკუთრებად უსასყიდლოდ გადასცემს. თუმცა, ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, დადასტურება სჭირდება. საადვოკატო ბიურო OK&CG-ს ადვოკატი ანა გორდეზიანი განმარტავს, რომ უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

როგორც იურისტი განმარტავს, არის რიგი გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება გამოიწვიოს.

– მოქმედი კანონმდებლობით, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. მხარეებს შეუძლიათ დაადგინონ, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ამა თუ იმ პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე. ეს მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც (შეწირულობა). პირობის შესრულება, მჩუქებლის გარდა იმ პირსაც შეუძლია მოითხოვოს, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული, ხოლო თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, მაშინ მჩუქებელს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ასევე, ჩუქება შეიძლება, გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, – აცხადებს გორდეზიანი.

თუმცა, იურისტს მიაჩნია, რომ ჩუქების ხელშეკრულების უმადურობის მოტივით გაუქმება ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს.

– საქმე ის არის, რომ კანონმდებელი არ ახდენს დაკონკრეტებას, რა ითვლება უმადურობად, ამდენად ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს შეფასებაზე ხდება დამოკიდებული, – განმარტავს ანა გორდეზიანი.



რაც შეეხება ჩუქების გაუქმებისთვის მოთხოვნის პროცედურებს, როგორც იურისტმა აღნიშნა, განცხადების ვადად კანონმდებელი განსაზღვრავს სპეციალურ ვადას. ჩუქება შეიძლება, გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

– ჩუქების გაუქმების შემთხვევაში გაჩუქებული ქონება შეიძლება მჩუქებელმა უკან გამოითხოვოს. თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს გაჩუქებული ნივთი მოსთხოვოს, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს მძიმე მდგომარეობაში არ ჩააყენებს, – აცხადებს გორდეზიანი.

ბპნ

# მამუკა ბახტაძე: „ფინანსური ტექნოლოგიები საშუალებას მოგვცემს, მეწარმეებს დაფინანსება უფრო მარტივი მექანიზმებით მივაწოდოთ“



თანამედროვე ტექნოლოგიები, განსაკუთრებით, ბლოკჩეინის ტექნოლოგია, საშუალებას მოგვცემს, კიდევ უფრო შევამციროთ ხარჯები საჯარო სექტორში და გავხადოთ სერვისები კიდევ უფრო ხელმისაწვდომი ჩვენი მოქალაქეებისთვის, – განაცხადა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ხორვატიაში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ მაღალი დონის შეხვედრაზე (Constituency Meeting), რომელიც ხორვატიაში იმართება.

დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი თემა ფინანსური ტექნოლოგიების შესაძლებლობები და არსებული გამოწვევებია.

– შეხვედრაზე განიხილება თანამედროვე ტექნოლოგიების, ამ შემთხვევაში, ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც ბლოკჩეინის ტექნოლოგია დანერგა საჯარო სექტორში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ კიდევ უფრო ამბიციურები უნდა ვიყოთ. ამასთან ერთად, საუბარი გვქონდა ფინანსურ ტექნოლოგიებზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მცირე და მიკრომეწარმეებს უფრო მარტივი მექანიზმებით მივაწოდოთ დაფინანსება და შესაბამისად, გავხადოთ ისინი უფრო კონკურენტუნარიანები, – აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

როგორც საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ განაცხადა, წლევანდელ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ფინანსური ტექნოლოგიების მნიშვნელობასა და მის შესაძლებლობებს.

– განიხილება ის მიმართულებები, რომლებიც ეხება ფინანსური ტექნოლოგიების გამოწვევებს, იმ უპირატესობებსა და შესაძლებლობებს, რომლებიც ფინანსური ტექნოლოგიების გამოყენებამ შეიძლება შექმნას. ხდება გაზიარება იმისა, თუ რა გამოცდილება აქვს სხვადასხვა ქვეყანას ამ კუთხით და ამავე დროს, მიმდინარეობს მსჯელობა, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ერთად, არა მარტო ამ ქვეყნების ჯგუფის მიერ, არამედ ზოგადად, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ჩართულობით ფინანსური ტექნოლოგიების შესაძლებლობების გამოყენების მიმართულებით, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ.

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ყოველწლიურ მაღალი დონის შეხვედრას (Constituency Meeting) 15 ქვეყნის (საქართველო, ბულგარეთი, ისრაელი, რუმინეთი, უკრაინა, ბელგია, ლუქსემბურგი, სომხეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ხორვატია, კვიპროსი, მაკედონია, მოლდოვა, მონტენეგრო, ნიდერლანდები) ფინანსთა მინისტრები, ასევე, ცენტრალური ბანკების მმართველები ესწრებიან.

**კომერსანტი**

# საქართველოს ეროვნული ბანკის განმარტება ემიგრანტებისთვის შემზღუდველი რეგულაციის დაწესებასთან დაკავშირებით




– ბოლო დღეებში სოციალური ქსელებით გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რომ თითქოს ეროვნული ბანკი ემიგრანტებისთვის შემზღუდველი რეგულაციის დაწესებას გეგმავს. საუბარია იმაზე, რომ ემიგრანტები და მათი ოჯახები ფულადი გზავნილების საფუძველზე იპოთეკური სესხის მიღებას ვეღარ შეძლებენ, და ის მაქსიმალური თანხა, რისი მიღებაც გზავნილით იქნება შესაძლებელი, 2,000 ლარია.

გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ფულადი გზავნილებით მიღებულ შემოსავლების მქონე პირებზე სესხების გაცემას კომერციული ბანკები აქამდე არსებული პრაქტიკით და მოქმედი პოლიტიკა/პროცედურების შესაბამისად აგრძელებენ. სებ-ის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებულ ნორმატიულ ცვლილებებს, მათ შორის 2018 წლის 7 მაისს ძალაში შესულ „კომერციულ ბანკებში კრედიტების კონცენტრაციისა და მსხვილი რისკების შესახებ დებულებას, რომლითაც კომერციულ ბანკებს გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გაცემული სესხების მოცულობა ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ის ოდენობით შეეზღუდათ, აღნიშნული კუთხით არავითარი დამატებითი შეზღუდვები არ დაუწესებია, ვინაიდან, გზავნილებიც, როგორც შემოსავლების სხვა სახეები, ითვლებოდა და ასევე ჩაითვლება დადასტურებული შემოსავლების წყაროდ.

რაც შეეხება ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის დებულების პროექტს, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ სამსჯელოდ გამოვიტანეთ ამ დებულების მხოლოდ სამუშაო ვარიანტი, რომელიც ჩართული მხარეების კომენტარებისა და შენიშვნების გათვალისწინებით, საბოლოოდ დამტკიცებამდე დაიხვეწება და დაკორექტირდება.

დაბოლოს, ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს, ემსახურება მომხმარებელთა ინტერესებისა და უფლებების მაქსიმალურ დაცვას და, მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს საფინანსო სექტორის საკრედიტო პორტფელის გაჯანსაღებას, – წერია სებ-ის განცხადებაში.

**კომერსანტი**

# კოლმეურნეობის მოედანზე ყვავილების პავილიონის მშენებლობა 2 წლით გადაიდო

კოლმეურნეობის მოედანზე, ყოფილი „პირიმზის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ყვავილების პავილიონის მშენებლობა მინიმუმ 2 წლით გადაიდო.

კომპანია PP-ის დამფუძნებელი ლაურა ლაჭავა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებ, რომ ამის მიზეზი კოლმეურნეობის მოედანზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებია, რომლის დასრულებამდეც პავილიონის მშენებლობაზე საუბარი ზედმეტია.

თავდაპირველი პროექტის მიხედვით, კოლმეურნეობის მოედანზე 2- სართულიანი ლითონისა და მინის კონსტრუქციის მოწყობა იგეგმებოდა. პირველ სართულზე ყვავილების სექცია უნდა განთავსებულიყო, მეორე სართულზე კი კაფე-ბარების განთავსება იგეგმებოდა. პროექტის მოწყობისთვის 10 თვე იყო განსაზღვრული.



მერიის არქიტექტურის სამსახურმა მიიჩნია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ორსართულიანი, თუნდაც მსუბუქი კონსტრუქციის გაჩენა მიზანშეწონილი არ არის. ამიტომ მერიის არქიტექტურის სამსახურმა კომპანია PP-ს პროექტის ცვლილება მოსთხოვა, რის შემდეგაც პროექტის გადამუშავება უნდა მომხდარიყო.

გარდა ამისა, როგორც ცნობილია, კოლმეურნეობის მოედნის ქვეშ სამდონიანი პარკინგი მოეწყობა. 20 მილიონიანი პროექტის მიხედვით, მოედნის და მიმდებარე სახლების რეაბილიტაციაც მოხდება.

აღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით, კომპანია PP-ს დამფუძნებელი ლაურა ლაჭავა აცხადებს, რომ სანამ მშენებლობები არ დასრულდება, ყვავილების პავილიონის პროექტი არ განხორციელდება.

– კოლმეურნეობაზე მშენებლობა მინიმუმ 2 წელი მაინც გაგრძელდება. როგორც იცით, ყველაფერს თავიდან აკეთებენ. შესაბამისად, ყვავილების პავილიონისთვის ამ ეტაპზე არავის სცალია და ეს პროექტი 2 წლით მაინც გადაიდო, – აცხადებს ლაურა ლაჭავა.

**ბპნ**

# კანადაში ქართულ ქვევრებში ღვინოს დააყენებენ



საქართველოდან კანადაში 55 ცალი ქვევრი გაიგზავნა, რომლებიც ვანკუვერში განთავსდება. კანადელი რესტორნის მეპატრონე პასკალ როის საქართველოდან ქვევრების გატანაში მეღვინე სანდრო მილორავა დაეხმარა.

ქვევრები დასავლეთ საქართველოშია დამზადებული და ამჟამად გზაშია. მილორავას განცხადებით, ქვევრები კანადაში ივნისის ბოლომდე ჩავა. ქვევრების მოცულობა 50-დან 1.000 ლიტრამდეა. ისინი ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფელ მანდაეთში, მექვევრე იმედა გოგოლაძემ დაამზადა.

პასკალ როი პირველ ეტაპზე ქვევრებში, ადგილობრივი ჯიშის ყურძნისგან დააყენებს ღვინოს, თუმცა იგი სამომავლოდ რქაწითელის გაშენებას გეგმავს.

პასკალ როი გასული წლის შემოდგომაზე სტუმრად იმყოფებოდა საქართველოში. მას მასპინძლობა კახეთში ღვინის კომპანიამ „მარანი მილორაული“ გაუწია, სადაც კანადელმა სტუმარმა რთველის პროცესშიც მიიღო მონაწილეობა.

ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციულ მეთოდს 2013 წელს იუნესკოს (UNESCO) არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა, რაც ამ მეთოდის უნიკალურობაზე მიუთითებს და გზავნილია მთელი მსოფლიოსთვის, რომ ღვინო უძველესი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია.

ამ ეტაპზე ცალკეული მეღვინეები ქართულ ქვევრში ღვინოს იტალიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, ესპანეთში, იაპონიაში, სლოვენიასა და სლოვაკეთში აწარმოებენ.

**კომერსანტი**

# მთავარია, „მენავთობეები“ იყვნენ კარგად — რატომ შეუმცირა კონკურენციის სააგენტომ ნავთობკომპანიებს ჯარიმა 18-ჯერ

გასულ კვირას კონკურენციის სააგენტომ საწვავის ბაზრის ხელახალი მოკვლევა დაასრულა და კომპანიებს თავდაპირველად გამოწერილი საჯარიმო თანხა თითქმის 18-ჯერ შეუმცირა.

უფრო კონკრეტულად კი, პირველი მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, კონკურენციის სააგენტომ 5 კომპანია საქართველოს კონკურენციის კანონის დარღვევაში დაადანაშაულა და საერთო ჯამში 55 მლნ ლარით დააჯარიმა. აღნიშნული გადაწყვეტილება, ხუთივე ბიზნესოპერატორმა სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლომ კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. კომპანიებისთვის არც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი და მათ სასამართლოს გადაწყვეტილება, ზემდგომ ინსტანციებში გაასაჩივრეს. საერთო ჯამში, დავები 3 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა და კონკურენციის სააგენტოს კრახით დასრულდა.

თუ პირველმა ინსტანციამ კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, შემდგომ ინსტანციებში, სასამართლომ კონკურენციის სააგენტოს მტკიცებულებები არასაკმარისად ცნო და სადავო საკითხის გადაუწყვეტლად, სააგენტოს 2015 წლის გადაწყვეტილება ბათილად ცნო, ასევე უწყებას საქმის გარემოებების ხელახალი მოკვლევა და ანალიზი დაავალა. თუმცა, ახალი მოკვლევის შედეგები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა, პირველადი მოკვლევისგან, რასაც ვერ ვიტყვით კომპანიებისთვის გამოწერილ სანქციაზე, რომელიც ახალი მოკვლევით თითქმის 18-ჯერ შემცირდა.

უფრო კონკრეტულად კი, როგორც თავდაპირველი, ასევე, მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში მიღებული ადმინისტრაციული წარმოების მასალების ანალიზის შედეგად სააგენტომ დაადგინა შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“, შპს „რომპეტროლ საქართველოს“, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასა“ და შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ მიერ „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის („კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) დარღვევის ფაქტი. სააგენტომ ასევე დაადგინა შპს „რომპეტროლ საქართველოს“, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ და შპს „L ოილის“ მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა ფრენშაიზინგის/ქველიცენზიის ხელშეკრულებების შესაბამისად ფასების განსაზღვრის საკითხთან მიმართებით.



## თავდაპირველი დასკვნა და ბაზარზე არსებული გარემოებები

მოკვლევის დაწყებისას ნავთობიმპორტიორები ბაზარზე კოლოსალურად მაღალი, 72-76-თეთრიანი მარჟით საქმიანობდნენ. თუმცა, ეს კონკურენციის კანონის დარღვევა არ არის, მაგრამ ის თუ რის ხარჯზე ახერხებდნენ ეს კომპანიები გაბერილი ტარიფებით ოპერირებას, ნამდვილად არღვევს, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონს. არსებობდა გონივრული ეჭვი იმისა, რომ აღნიშნული კომპანიები ბაზარზე შეთანხმებული ფასებით ოპერირების ხარჯზე ახერხებდნენ ბაზარზე არარეალურად მაღალი ფასის შენარჩუნებას. რაც საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მე-7-ე მუხლის, ა) ქვეპუნქტის, დარღვევაა. არსებულ ეჭვს აღრმავებდა ის გარემოებაც, რომ 5 წამყვანი ნავთობიმპორტიორი, რომელთაც სხვადასხვა ქვეყნიდან, სხვადასხვა რაოდენობის მარაგები შემოჰქონდათ, კალენდარული სიზუსტით, ერთსა და იმავე დღეს ცვლიდნენ ფასებს საცალო ქსელში. კომპანიები ასევე დაჯარიმდნენ ამავე მუხლის ბ) და გ) ქვეპუნქტების დარღვევაში. რაც ბაზარზე ინვესტიციების შეზღუდვასა და ბაზრის ტექნოლოგიური განვითარების შეფერხებას გულისხმობს. თუ გავიხსენებთ შესწავლილი ბაზრის პერიოდს, ნათლად დავინახავთ ამ ბაზარზე არა მხოლოდ ინვესტიციების შეზღუდვას, არამედ უკვე არსებული კომპანიების ბაზრიდან გაძევების ფაქტებსაც. რაც შეეხება უკანასკნელ გ) პუნქტს ეს გულისხმობს, ბაზრის ან პროდუქტების, რაიმე სახის განაწილებას. რომლის ფაქტებიც, ასევე გვახსოვს ჩვენს ბაზარზე. მაგალითად, როგორც მოხდა თხევადი გაზის (LPG) შემთხვევაში. როდესაც ამ პროდუქტის შემოტანა ყველა სხვა კომპანიას აუკრძალეს, გარდა ხუთეულის წევრ „სოკარისა“.

## სააგენტოს ხელახალი მოკვლევის ანალიზი

თუ კარგად დავაკვირდებით სააგენტოს პირველ და მეორე გადაწყვეტილებას, დავინახავთ, რომ სააგენტოს მეორე გადაწყვეტილებაში „გამქრალია“ მეშვიდე მუხლის, ბ) ქვეპუნქტი, რომელიც ბაზარზე ახალი ინვესტიციების შეზღუდვას და ტექნოლოგიური განვითარების შეფერხებას გულისხმობს. გაუგებარია, თუ რატომ დაიხია სააგენტომ უკან ამ მიმართულებით, როდესაც ბაზარზე ინვესტიციების შეზღუდვა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ ინვესტორები არა მხოლოდ ვერ შემოდიოდნენ ქართულ ბაზარზე, არამედ უკვე არსებული კომპანიები, რომელიც კარტელში არ იყვნენ ჩართული, გააძევეს ბაზრიდან და ამის დამამტკიცებელი დოკუმენტაციაც გააჩნდათ საგამოძიებო უწყებებს. თუმცა სააგენტოს გადაწყვეტილების ბუნდოვნება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება, იმდენად რამდენადაც, ზემო აღნიშნული 3 ქვეპუნქტიდან სააგენტომ ორი უცვლელად დატოვა, შესაბამისად, გაუგებარია, თუ რატომ მოხდა, თავდაპირველი ჯარიმის, ასე მკვეთრად შემცირება 3 მლნ ლარამდე. ამის შესახებ არაფერია ნათქვამი კონკურენციის სააგენტოს განახლებულ დასკვნაში.

ზემოთ ნახსენები ფაქტებიდანაც ჩანს, რომ მოკვლევის პროცესში კონკურენციის სააგენტოს საკმარისი მტკიცებულებები გააჩნდა, ნავთობკომპანიების წინააღმდეგ, სხვა შემთხვევაში სააგენტო პირველ ინსტანციაშიც ვერ მოახერხებდა გამარჯვებას. მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ბიზნესდავების სპეციფიკურობა. აღნიშნული დავების სპეციფიკურობა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოზე უმეტესად იმარჯვებს ის მხარე, ვინც უკეთ არის მომზადებული სასამართლოსთვის. შესაბამისად, ზემდგომ ინსტანციებში ნავთობკომპანიები გაცილებით ძლიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე კონკურენციის სააგენტო.

**კომერსანტი**

# მირზა სუბელიანს ბრალი წარუდგინეს

გასული კვირის ბოლოს შსს-მ ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით კიდევ ორი პირი დააკავა – მერაბ მორჩაძე და მირზა სუბელიანი.

ამასთან დაკავშირებით შსს-მ გაცხადება გაავრცელა.

„როგორც საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, 2018 წლის 1 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით დამნაშავედ იქნა ცნობილი ორი მოზარდი – მათგან ერთი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, ხოლო მეორე დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ 2017 წლის 1 დეკემბერს ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ძირითადი საქმის გამოძიების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააკავა მკვლელობაში ბრალდებული ორი და დანაშაულის შეუტყობინებლობაში ბრალდებული ხუთი პირი. დაიკითხა 100-ზე მეტი მოწმე, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმემ მიაწოდა ინფორმაცია სამართალდამცავ ორგანოებს. სასამართლოში საქმის განხილვისას ერთ-ერთმა მთავარმა მოწმემ, რომელიც მანამდე თანამშრომლობდა გამოძიებასთან, შეცვალა ჩვენება.

გარდა ამისა, ბრალდებულებმა, რომლებიც გამოძიების ეტაპზე დუმილის უფლებას იყენებდნენ, პირველად სასამართლოს ბოლო სხდომაზე მისცეს ჩვენება.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა, აგრეთვე მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილმა სხვა მტკიცებულებებმა, საქმეში გამოკვეთა ახალი გარემოებები, კერძოდ, პროცესის მონაწილეებზე შესაძლო ზეწოლისა და სხვა პირთა მიერ დანაშაულის შესაძლო შეუტყობინებლობის ფაქტები.

სასამართლოში გამოვლენილი ახალი გარემოებების დადგენის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო პერიოდში ჩაატარა არაერთი საგამოძიებო მოქმედება იმ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, რომელზეც გამოძიება მკვლელობის ძირითადი საქმისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. შედეგად, დამატებით მოპოვებული მტკიცებულებებით, მოწმეზე ზემოქმედებისა და დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის დაკავებულია ორი პირი.



კერძოდ, მოწმეზე ზემოქმედების ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით დაკავებულია 1973 წელს დაბადებული მერაბ მორჩაძე, ხოლო ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის შეუტყობინებლობისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით დაკავებულია 1979 წელს დაბადებული მირზა სუბელიანი.

გამოძიებით დადგინდა, რომ მერაბ მორჩაძემ, სასამართლოში ჩვენების შეცვლის მიზნით, გავლენა მოახდინა ბრალდებულ მ.კ.-ზე, რომელიც მკვლელობის ჩადენაში ამხელდა მერაბ მორჩაძის მეგობრის შვილს – ბრალდებულ გ.ჯ.-ს. მერაბ მორჩაძე არაერთხელ შეხვდა ძმებს – მ.კ.-ს და ლ.კ.-ს, ბრალდებულ გ. ჯ.-ს სასარგებლოდ ჩვენების შეცვლის მიზნით, გადასცა მათ გარკვეული თანხა და სანაცვლოდ მ.კ.-ს მოსთხოვა სასამართლოში ცრუ ჩვენების მიცემა, რომ თითქოს მ.კ.-ს დანაშაულის ჩადენის მომენტში გ.ჯ.-ს ხელში არ დაუნახავს მკვლელობის იარაღი.

მერაბ მორჩაძე მ.კ.-ს ასევე დაჰპირდა სამართალდამცავ ორგანოებთან ჩვენების შეცვლით გამოწვეული შესაძლო პრობლემების მოგვარებასა და საკუთარი კავშირების გამოყენებას საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის.

შედეგად, 2018 წლის აპრილში სასამართლოში ჩვენების მიცემისას, გამოძიებაში მიცემული ჩვენებისგან განსხვავებით, მ.კ.-მ განაცხადა, რომ მკვლელობაში ბრალდებულ გ.ჯ.-ს ხელში დანა არ დაუნახავს.

რაც შეეხება მირზა სუბელიანს, გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ 2017 წლის 1 დეკემბერს, მირზა სუბელიანი იმყოფებოდა ნათესავების, მკვლელობის საქმეში მოწმის და ბრალდებულის სტატუსის მქონე კალანდიების ოჯახში, სადაც ასევე იმყოფებოდა მკვლელობაში ბრალდებული გ.ჯ. საუბრისას მირზა სუბელიანისთვის ცნობილი გახდა ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის და მკვლელობაში გ.ჯ.-ს მონაწილეობის შესახებ, რაც მან არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს.

აღნიშნული ფაქტის ირგვლივ გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე ინტენსიურად მუშაობს პროცესის მონაწილეებზე ზემოქმედებისა და დანაშაულთან კავშირის მქონე სხვა პირების დასადგენად.

კერძოდ, მიმდინარეობს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების, 51-ე სკოლის დირექტორის და საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მქონე სხვა პირების გამოკითხვა. შინაგან საქმეთა სამინისტრო დაადგენს და დააყენებს ყველა იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებსაც რაიმე ფორმით კავშირში აქვთ დანაშაულთან. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ღიაა საზოგადოებისთვის და მზად არის ნებისმიერ შეკითხვას გასცეს პასუხი. ჩვენ უკვე ვთანამშრომლობთ სახალხო დამცველის აპარატთან და მზად ვართ ვითანამშრომლოთ საგამოძიებო კომისიასთან", – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

* * *

გუშინ 10 ივნისს, დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულ მირზა სუბელიანს ბრალი წარუდგინეს. მას ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით ( დანაშაულის შეუტყობინებლობა) წარედგინა.

თბილისის მთავარ სამმართველოში ბრალის წარდგენას სუბელიანის ადვოკატი, ინგა ჩალაური ესწრებოდა. ადვოკატის თქმით. სუბელიანი დანაშაულს აღიარებს.

– მირზა სუბელიანი დანაშაულს აღიარებს. ჯერ უცნობია, აღკვეთის ღონისძიების რა სახეს მოითხოვს პროკურატურა, თუმცა პატიმრობის შუამდგომლობის შემთხვევაში ჩვენ ბრალდების მხარეს არ დავეთანხმებით, – განაცხადა ადვოკატმა.

# ქართველმა პარაპლანისტებმა რუსებს სცემეს

## რა მოხდა გუდაურში

8 და 9 ივნისს გუდაურში სხვადასხვა ქვეყნის პარაპლანისტებს შორის რამდენიმე ინციდენტი მოხდა. ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა.

„მიმდინარე წლის 8 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ყაზბეგის რაიონის დაბა გუდაურში საქართველოსა და უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქეებს შორის მომხდარ კონფლიქტის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტში შემოვიდა შეტყობინება, რომ ქართველ პარაპლანით მფრინავებსა და უკრაინის მოქალაქეებს შორის, რომლებსაც დაბა გუდაურის ახლოს იჯარით აქვთ აღებული პარაპლანით დაშვების ადგილები, კონფლიქტი მოხდა, რა დროსაც ქართველმა მფრინავებმა უკრაინის მოქალაქეებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.



სამართალდამცველები შემთხვევის ადგილას ოპერატიულად გამოცხადდნენ. დაპირისპირება პოლიციელების მისვლის შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა მათ მალევე შეძლეს კონფლიქტის განმუხტვა.

გამოძიების პირველ ეტაპზე დადგინდა, რომ ქართველი პარაპლანით მფრინავები შემთხვევით უკრაინის მოქალაქეების მიერ იჯარით აღებულ ტერიტორიაზე დაეშვნენ, რასაც უკრაინელების უკმაყოფილება და მხარეთა შორის კონფლიქტი მოჰყვა.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, პოლიციამ შემთხვევის ადგილი დაათვალიერა და სამივე დაზარალებული გამოკითხა. ასევე, ტარდება ყველა შესაბამისი ექსპერტიზა.

აღნიშნული კონფლიქტის მეორე დღეს ქართველმა მფრინავებმა დაბა გუდაურში პარაპლანით საფრენ ტერიტორიაზე მისასვლელ გზაზე მოძრაობა შეაფერხეს და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს, პარაპლანისტებს, გადაადგილების საშუალება არ მისცეს, რის გამოც მათ შორის კონფლიქტი მოხდა. დაპირისპირების შედეგად ქართველმა პარაპლანით მფრინავებმა რუსეთის მოქალაქეებს, სერგეი დემენტიევსა და ფეოდორ ჩელიშევს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ავტომანქანები დაუზიანეს.

კონფლიქტის დროს დაშავებული ფეოდორ ჩელიშევი ამ დროისთვის თბილისის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გამოძიების ფარგლებში, გამოიკითხა კონფლიქტში მონაწილე რუსეთის ორივე მოქალაქე, დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. ამ დროისთვის მიმდინარეობს ინტენსიური საგამოძიებო ღონისძიებები დანაშაულის ჩამდენი პირების იდენტიფიცირების მიზნით.

აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლითა და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ძალადობასა და სხვისი ნივთის დაზიანებას გულისხმობს".

გუდაურში მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეო სოციალურ ქსელში გავრცელდა. თავდაპირველად მას ახლდა კომენტარები, რომ დაპირისპირების მიზეზი ქსენოფობიური იყო და პარაპლანისტის ცემის მთავარი მოტივი მისი ეროვნება გახდა, თუმცა შემდგომში თავად ფეოდორ ჩელიშევმა გაავრცელა ვიდეო, სადაც ის აცხადებს, რომ კონფლიქტი ბიზნესის გადანაწილების გამო მოხდა.

# დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე პროკურატურას შოთა შალელაშვილის საქმიანობით დაინტერესებას სთხოვს

„ქართულ ოცნებაში" ახალი დიდი არეულობა დაიწყო. დეპუტატი გრიგოლ მიქელაძე პროკურატურას შოთა შალელაშვილის საქმიანობით დაინტერესებას სთხოვს.

პარლამენტის წევრი ფიქრობს, რომ შალელაშვილის ფინანსური მაქინაციები იმდენად ღრმაა, რომ ის პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამაც უნდა გამოიძიოს.

შალელაშვილი საქართველოს პარლამენტის მილიონერი დეპუტატების რიცხვშია. მხოლოდ დეკლარაციაში წერია, რომ მას 10 მილიონ დოლარამდე ნაღდი ფული ქართუ ბანკში აქვს, მილიონებად არის შეფასებული მისი უძრავი ქონება და სხვა აქტივები.

კურიერმა გაარკვია, რომ გამოძიება შალელაშვილის შემოსავლებზე მანამდე დაიწყო, ვიდრე ის პარლამენტის წევრი გახდებოდა. 2015 წელს დაყადაღებული იყო შალელაშვილის ანგარიშები ქართუ ბანკში.

კურიერმა მოიპოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, სადაც წერია, რომ 2015 წელს შალელაშვილს, ჯამში, 20 მილიონი დაუყადაღეს. საბანკო ანგარიშებზე წვდომა მილიონერს კი იმის გამო შეუზღუდეს, რომ გამოძიების პროცესში ქონება არ გადაემალა.

კურიერმა ასევე გაარკვია, რომ ყადაღის მოხსნასა და ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირისთვის ფულის უკან დაბრუნების საქმეში მთელი სახელმწიფო მანქანა იყო ჩართული. მაშინდელ პროკურორთან ოცნების გავლენიანი პირები ანგარიშების შეზღუდვებისგან გათავისუფლების მოთხოვნით დადიოდნენ. ამ ამბავს თავად ქართული ოცნების მოქმედი დეპუტატიც ადასტურებს.

„ქართული ოცნების" დეპუტატი, გია მიქელაძე, ამტკიცებს, რომ შოთა შალელაშვილის მაქინაციების მსხვერპლი თავადაც გახდა.

„ქართული ოცნების" დეპუტატის ფინანსურ მაქინაციებს სწავლობს ოპოზიცია. ოპოზიციას აინტერესებს, სად წავიდა ფული და ხომ არ გადაიხადა ყადაღის მოხსნის სანაცვლოდ ქრთამი შალელაშვილმა.

ამას გარდა, უკვე ორი წელია, ამერიკის შეერთებულ შტატებში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული შალელაშვილი შვილზე. გამოძიებამ კიბერთავდასხმის შედეგად გარი შალელაშვილს ნახევარი მილიარდი დოლარის მითვისებაში დასდო ბრალი. საქმის მასალებით, შალელაშვილის შვილმა, რუსი ჰაკერების დახმარებით, ამერიკული ბანკების ანგარიშებიდან დიდი ოდენობით თანხა მოიპარა. ამ ფაქტს თავად შალელაშვილი ადასტურებს.

შოთა შალელაშვილის შვილი ამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილების მოლოდინშია. ის ახლა სათვალთვალო სამაჯურის საშუალებით გადაადგილდება და ამერიკული სასამართლოს განაჩენს ელოდება.

**რუსთავი 2**



# „ვაიმე, დავიღუპეთო, იყვირა მძღოლმა, მეორე ბრუნზე მე და დედაჩემი ფანჯრიდან გვისროლა"

## გომბორის ტრაგედიის დეტალები

9 ივნისს ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გომბორზე. ხევში სამარშრუტო ტაქსი გადავარდა, რის შედეგადაც დაიღუპა 4 ადამიანი – 3 ქალი და 1 ბავშვი. სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო 16-მა ადამიანმა.

ავარიაში 175-ე საჯარო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეები და მშობლები მოყვნენ.

გამოძიების პირველადი ვერსიით, გომბორის უღელტეხილზე სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხევში გადავარდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ს 276-ე მუხლის მე-7 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. დანაშაული 6-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გომბორზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას სკოლის მოსწავლე იხსენებს.

მოზარდის განცხადებით, მიკროავტობუსის მუხრუჭები მწყობრიდან გამოვიდა, შედეგად მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა.

მძღოლმა ამის შემდეგ „ვაიმე, დავიღუპეთო" იყვირა, რასაც პანიკა მოჰყვა, ავტომობილი კი სავალი გზიდან გადავიდა და ხევში გადავარდა.

– მოსახვევში, მარშრუტკაში რომ ვისხედით, ტორმუზს რომ აწვებოდა, ტორმუზი ჩავარდა თუ გაფუჭდა, არ ვიცი, მაგრამ, ვაიმე, დავიღუპეთო, რომ იყვირა მძღოლმა, ყველანი ავყვირდით. მერე სამი ბრუნი გააკეთა, პირველ ბრუნზე მე და დედაჩემი იქ ვიყავით, მეორე ბრუნზე ფანჯრიდან გვისროლა, ფანჯრები სულ ჩაიმტვრა. მესამე ბრუნიც გააკეთა, სამი მშობელი მოკვდა და ერთი ბავშვი, – განაცხადა თვითმხილველმა.



მოგვიანებით მიკროავტობუსის მძღოლი დააკავეს.

შემთხვევის ადგილზე ჩასული ოფიციალური პირების განცხადებით, შესაძლოა, ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი უსაფრთხოების წესების დარღვევა და მიკროავტობუსის გაუმართაობა გამხდარიყო.

**ნიუპოსტი**

# უკრაინა: პრორუსული დეპუტატის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს

უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა პაშინსკიმ თავის კოლეგა მურაევს ბრალად სახელმწიფოს ღალატი დასდო. მიზეზი მურაევის უკანასკნელი განცხადება გახლდათ. მან თქვა, რომ რუსეთის ტყვეობაში



მყოფი უკრაინელი რეჟისორი სენცოვი შესაძლოა მართლაც ტერორისტი ყოფილიყო. რუსულმა მედიამ სენცოვი სწორედ ტერორიზმში დაადანაშაულა და პატიმრობა მიუსაჯა.

პაშინსკიმ აღნიშნა, რომ მურაევის ასეთი საქციელი სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს ღალატი. მთელი მსოფლიო სენცოვის დაპატიმრებით აღშფოთებულია, უკრაინის პარლამენტის დეპუტატი მურაევი კი რუსული პროპაგანდის დაკრულზე ცეკვავს.

— მივმართავ პროკურატურას, რათა მურაევის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრას, — თქვა პაშინსკიმ.

მურაევს საქმე მართლაც აღუძრეს. მიუხედავად ამისა, უკრაინაში კვლავაც არხეინად გრძნობენ თავს პოლიტიკოსები თუ ექსპერტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თუ უკრაინა წესიერად არ მოიქცევა, რუსეთი მას რაკეტებით დაბომბავს და გააქრობს. ვრცელდება ყალბი ცნობები იმის თაობაზე, რომ რუსეთს, გერმანიასა და აშშ-ს შორის უკვე მიღწეულია შეთანხმება უკრაინის შესაძლო გაყოფის თაობაზე.

პაშინსკიმაც ხელისუფლებას რუსეთის აგენტების წინააღმდეგ ქმედითი ზომების გატარება მოსთხოვა.

— როცა ჩვენი ჯარისკაცები ფრონტზე სისხლს ღვრიან, ეს გაქსუებული ვაჟბატონები ცილისმწამებლურ ინფორმაციებს ავრცელებენ და ამაში დიდ ფულს იღებენ. როდემდე შეიძლება, ასე გაგრძელდეს?! — ამბობს პაშინსკი.

# ჯუზეპე კონტე: „რუსეთის მიმართ სანქციების უცებ მოხსნა ვერ მოხერხდება“

იტალიის ახალმა პრემიერმა ჯუზეპე კონტემ განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების მოხსნის მომხრეა. ამავე დროს, მან თქვა, რომ სანქციების მოხსნა უცებ ვერ მოხერხდება.



— სანამ რუსეთი მინსკის შეთანხმებებს არ შეასრულებს, სანქციები არ გაუქმდება, — ამბობს კონტე.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ტრამპის წინადადებას რუსეთის დიდი შვიდეულის რიგებში დაბრუნების თაობაზე მთლიანად ეთანხმება, მაგრამ, ამავე დროს, მიუთითა, რომ ეს გზა უკრაინაზე გადის.

— რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ აგრესია უნდა შეწყვიტოს, — ამბობს კონტე.

# რომის პაპი: „იმედია, კიმისა და ტრამპის შეხვედრა მშვიდობას მოიტანს“

რომის პაპმა ფრანცისკემ იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპსა და ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინს შორის შეხვედრა მშვიდობას დაამკვიდრებს.

— მინდა ჩემს საყვარელ კორეელ ერს ლოცვით მივმართო, რათა ამ შეხვედრამ, რომელიც უახლოეს დღეებშია სინგაპურში დაგეგმილი, ხელი შეუწყოს იმ დასახულ გზას, რომელიც უზრუნველყოფს კორეის ნახევარკუნძულისა და ზოგადად მსოფლიოსთვის მშვიდობას, — განაცხადა რომის პაპმა.



12 ივნისს სინგაპურში აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეას შორის ისტორიაში პირველი სამიტია დაგეგმილი, რომელზეც ერთმანეთს ორი ქვეყნის ლიდერები შეხვდებიან.

გუშინ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი და აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სინგაპურში ჩაფრინდნენ.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ფრანგი ანალიტიკოსები კრემლის უახლოეს მიზნებს ასახელებენ

## სირიაში სერიოზული ცვლილებებია

*მარიამ მჭედლიშვილი*

რუსეთის მიერ რბილი ძალის გამოყენება უკვე აპრობირებული მეთოდია, მათ შორის, საქართველოში. ფრანგი ექსპერტების განცხადებით, რუსული რბილი ძალა მალე განსაკუთრებულ მასშტაბებს მიიღებს და მთელ მსოფლიოს მოედება. ამის საშუალება რუსეთმა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებით მოიპოვა.

მათი სიტყვებით, რუსეთი საერთაშორისო შეჯიბრებებს გამოიყენებს იმისათვის, რომ მოსკოვის მიმართ ბოლო დროს დამკვიდრებული მტრული დამოკიდებულება აღმოფხვრას.

კრემლი შეეცდება, მსოფლიოს დაუმტკიცოს, თითქოს ის მეგობრული და კეთილგანწყობილი ქვეყანაა. ეს ხდება დასავლეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობის ზრდის ფონზე. ფრანგი ანალიტიკოსების აზრით, ამ დაძაბულობის მთავარი მიზეზი სირიის კონფლიქტია. მატჩების სატელევიზიო ტრანსლაცია კრემლს რუსული კულტურის პროპაგანდირების საშუალებას მისცემს. პუტინი იპოზიციონერებს, როგორც ძლიერი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. ჩემპიონატის გეოპოლიტიკური საკმაზი მასში ირანის მონაწილეობაა.



რუსეთს, ავტორების დასკვნით, მსოფლიო ჩემპიონატზე ორი სტრატეგიული მიზანი აქვს — მსოფლიოში გეოპოლიტიკური ძალების განლაგების შეცვლა და რუსეთის შეყვანა ეკონომიკურად უმსხვილესი სახელმწიფოების ხუთეულში.

ამ ეტაპზე რუსეთი დიდი რვიანიდანაც გარიცხულია. რამდენიმე დღის წინ აშშ-ის პრეზიდენტმა წამოსწია რუსეთის დიდ რვიანში დაბრუნების საკითხი. ამას სხვა ლიდერები არ დაეთანხმნენ. ბევრი მოსკოვის მიმართ ხისტ პოზიციას ინარჩუნებს. შედარებით რბილი აღმოჩნდა საფრანგეთი. საფრანგეთის პრეზიდენტმა მაკრონმა დაასახელა რუსეთის დიდ რვიანში დაბრუნების პირობა. ესაა მინსკის შეთანხმებების შესრულება აღმოსავლეთ უკრაინაში სიტუაციის დასარეგულირებლად. მანვე გამოთქვა სურვილი, რომ მომავალ სამიტში რუსეთმაც მიიღოს მონაწილეობა.

აშშ-რუსეთის ლიდერების მოსალოდნელ შეხვედრაზე მსჯელობა გრძელდება. არ არის გამორიცხული, რომ ტრამპი და პუტინი ერთმანეთს ვენაში შეხვდნენ. ბოლო დროს ავსტრიამ გააკეთა რუსეთის მიმართ დამთმობი განცხადებები და გააკრიტიკა რუსეთის მიმართ მოქმედი მკაცრი სანქციები. ამერიკა-რუსეთის პრეზიდენტების ერთ-ერთი სასაუბრო თემა სირია იქნება.

ბოლო მონაცემებით, სირიაში სერიოზული ცვლილებებია. სირიელი ქურთების თითქმის ყველა ორგანიზაცია დათანხმდა დიალოგის განახლებას სირიის ხელისუფლებასთან.

ამას წინ უძღოდა ამერიკა-თურქეთის დიალოგი და ვაშინგტონის მხარდაჭერა იმ მოქმედებების მიმართ, რომლებსაც თურქეთი ახორციელებს სირიაში. ნატოს მაღალჩინოსნებმაც აღნიშნეს, რომ ნატოსთვის თურქეთს დიდი მნიშვნელობა აქვს და აუცილებელია საშუალების გამონახვა სირიაში თურქეთის კანონიერი ინტერესების დასაცავად.

როგორც ჩანს, ამან აიძულა თურქეთის მოწინააღმდეგე ქურთები, დაელაპარაკონ ასადის ხელისუფლებას.

ჩაანაცვლებს თუ არა სირიაში ამერიკულ კონტინგენტს არაბული, ჯერჯერობით დაუდგენელია. რუსეთი სირიიდან გასვლას არ აპირებს. რუსეთის სამხედრო პოლიცია დამასკოსთან, აღმოსავლეთ გუტაში, ტერიტორიას ნაღმებისა და საბრძოლო მასალებისაგან ათავისუფლებს. რუსეთის სამხედრო პოლიცია, სავარაუდოდ, სირია-ისრაელის საზღვარზეც განლაგდება.

თავის მოქმედებებს სირიაში რუსეთს ისევ უთანხმებს თურქეთი, თეირანი კი მოსკოვს საფუძვლიან დიალოგს სთავაზობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა**

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ
და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე.
მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166.**
**მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

### სხვადასხვა

- დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.
- სილამაზის სალონს ესაჭიროება გამოცდილი ქალის სტილისტი, მანიკური/პედიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგი. მის. ბორჯომის ქ. 6 (დეზერტირების ბაზართან). ტელ: 597050903; 558153660.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.
- პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.
- ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება — კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

# მესი და კომპანია მთელი მსოფლიოს წინააღმდეგ

ყველაზე საინტერესო ჯგუფი მოჩანს. დიდი ალბათობით, მესისთვის ბოლო შანსია, მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს, სხვა გუნდები კი ჯგუფიდან გასვლისთვის „დახოცავენ“ ერთმანეთს.

**16 ივნისი**

17:00 არგენტინა-ისლანდია; 23:00 ხორვატია-ნიგერია;

**21 ივნისი**

22:00 არგენტინა-ხორვატია;

**22 ივნისი**

19:00 ნიგერია-ისლანდია;

**26 ივნისი**

22:00 ნიგერია-არგენტინა; ხორვატია-ისლანდია.

## ნიგერია

ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია 1945 წელს დაარსდა, ხოლო ფიფაში 1960 წელს გაწევრიანდა. ამჟამად მის რეიტინგში 48-ე ადგილზეა.

ნიგერიის ნაკრებმა პირველი მატჩი 1949 წელს გამართა სიერა ლეონესთან და 2:0 მოიგო. ნაკრებში ყველაზე მეტი შეხვედრა ვინსენტ ენიეამას (101) აქვს ჩატარებული, ხოლო ყველაზე მეტი გოლი რაშიდ იეკინს (37) გაუტანია.

ნიგერიის ნაკრები აფრიკის კონტინენტზე ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია. მართალია, კონტინენტის ჩემპიონობა სულ 3-ჯერ აქვს მოგებული, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებზე ყველა სინჯის მედალი აქვს აღებული – ოქრო ატლანტაში (1996), ვერცხლი – პეკინში (2008) და ბრინჯაო – რიოში (2016).

გარდა მისა, აქამდე არწივებს მუნდიალზე 5-ჯერ უასპარეზია და სამჯერ არის გასული მერვედფინალში.

მეექვსე მუნდიალზე მოხვედრა იოლად დაიწყო და სვაზილენდის ნაკრებს ორი მატჩის ჯამში (2:0, 0:0) მოუგო. შემდეგ იყო ჯგუფური ეტაპი, სადაც ზამბიის, კამერუნისა და ალჟირის ნაკრებებს აჯობა.

მართალია, ნიგერიის ეროვნული ნაკრები 1949 წლიდან არსებობს, მაგრამ დიდ საერთაშორისო ტურნირებზე პირველად 1980-იან წლებში გამოჩნდნენ. „არწივებს“ ყველაზე წარმატებული პერიოდი გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ჰქონდა, რა დროსაც მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა, შემდეგში კი მერვედფინალში ასპარეზობაც შეძლეს.

წინა მსოფლიო თასზე გუნდმა მერვედფინალში გააღწია, სადაც საფრანგეთთან 2:0 დამარცხდა.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერნოტ როჰი გახლავთ, რომელიც ნიგერიის ეროვნულ გუნდში მისვლამდე ნიგერში, ბურკინა ფასოსა და გაბონში, უფრო მანამდე კი ნიცაში, ზალცბურგში, იანგ ბოიზსა და ნანტში მუშაობდა.

ნიგერიის ნაკრები 64 წლის სპეციალისტმა 2016 წლის აგვისტოში ჩაიბარა.

ნიგერიის ნაკრებს გამოცდილი ნახევარმცველი ჯონ ობი მიკელი ლიდერობს. 31 წლის ფეხბურთელი, რომელმაც კარიერის ყველაზე დიდი ნაწილი (11 წელი) ლონდონის ჩელსიში გაატარა, ამჟამად მშობლიურ სუპერლიგაში ასპარეზობს.

მიუხედავად ამისა, ნიგერიის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის დ ჯგუფის აუტსაიდერად მიგვაჩნია. არგენტინისა და ხორვატიის ნაკრებებთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდება, აქ არის ისლანდიაც, რომელიც ნიგერიელებისთვის არასასურველ, ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობს.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** იკეჩუკვუ ეზენვა (ენიმბა), ფრანსიზ უზოჰო (დეპორტივო), დანიელ აკპეიი (ჩიპა იუნაიტედი);

**მცველები:** აბდულაჰი შეჰუ (ბურსასფორი), ტირონი ებიუეჰი (დენ ჰააგი), ელდერსონ ეჩიჯილე (სერკლი), ბრაიან იდოვუ (ამკარი), ჩიდოზი ავაზემი (ნანტი), უილიამ ეკონგი (ბურსასფორი), ლეონ ბალოგუნი (მაინცი), კენეტი ომერუი (კასიმფაშა);

**ნახევარმცველები:** ჯონ ობი მიკელი (ტიანცზინი ტედა), ოგენი ონაზი (ტრაბზონსფორი), ვილფრედ ნდიდი (ლესტერი), ოგენეკარო ეტებო (ლას პალმასი), ჯონ ოგუ (ჰაპოელი), ჯოელ ობი (ტორინო);

**თავდამსხმელები:** აჰმედ მუსა, კელეჩი იჰეანაჩო (ორივე ლესტერი), ოდიონ იგალო (ჩანჩუნ იატაი), ალექს აიობი (არსენალი), ვიქტორ მოზესი (ჩელსი), სიმეონ ნვანკვო (კროტონე).

## არგენტინა

არგენტინის საფეხბურთო ასოციაცია 1893 წელს დაარსდა, ფიფას წევრი 1912 წლიდან არის და მის რეიტინგში მე-5 ადგილს იკავებს. პირველი მატჩი 1901 წელს ურუგვაისთან სტუმრად გამართა და 3:2 მოიგო.

ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ხავიერ ძანეტის (143) აქვს ჩატარებული, ყველაზე მეტი გოლი ლიონელ მესიმ (61) გაიტანა.

1978 და 1986 წლებში მსოფლიო ჩემპიონს კოპა ამერიკა 14-ჯერ აქვს მოგებული. ასე რომ, ტიტულები არ აკლია.

რუსეთისკენ მიმავალ გზაზე კი ძალიან გაუჭირდა. სამხრეთ ამერიკის 10-გუნდიან ჯგუფში მუნდიალის საგზური ბოლო ტურში მოიპოვა და, რომ არა ლეო მესის გმირობა, მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა.



არადა, გუნდი მსოფლიო ფეხბურთის ელიტაში მუდმივად შედის და საერთაშორისო ტურნირების მთავარ ფავორიტადაც მიიჩნევა.

არგენტინის ნაკრებს ამჟამად მშვენიერი შემადგენლობა ჰყავს. გუნდში მაღალი კლასის შემტევი ფეხბურთელების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ მთავარ მწვრთნელ ხორხე სამპაოლის მუნდიალს მიღმა სერია ა-ს ბომბარდირ მაურო იკარდის დატოვება მოუხდა.

სამპაოლი უკვე ვახსენეთ... 58 წლის სპეციალისტმა მშობლიურ გუნდამდე ჩილეს ეროვნულ გუნდში იმუშავა, რომელთან ერთადაც სწორედ არგენტინას კოპა ამერიკის ოქროს მედალი აართვა.

გუნდში, ტრადიციულად, საკმაოდ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელია, თუმცა, როდესაც გყავს ბარსელონის თავდამსხმელი, ალბისლესტეს კაპიტანი, ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი და ოქროს ბურთის ხუთგზის მფლობელი, ლიონელ მესი, სხვა ყველა იჩრდილება.

მესის ერთადერთი ჯილდო აკლია – მსოფლიოს ჩემპიონატის თასი და ამ ამოცანის შესასრულებლად ემზადება. 30 წლის ფეხბურთელისთვის, შესაძლოა, ბოლო მუნდიალი იყოს...

გუნდის წარმატება სწორედ ლეო მესიმ უნდა ითავოს. თუმცა, არგენტინელებს არსებული შემადგენლობით ჯგუფური ეტაპის დაძლევა ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეთ და ფლეი ოფშიც ერთ-ერთი ფავორიტები იქნებიან.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** ნაუელ გუსმანი (ტიგრესი), ფრანკო არმანი (რივერ პლეიტი), ვილი კაბალიერო (ჩელსი);

**მცველები:** გაბრიელ მერკადო (სევილია), ნიკოლას ტალიაფიკო (აიაქსი), ფედერიკო ფასიო (რომა), ნიკოლას ოტამენდი (სიტი), მარკოს როხო (მანჩესტერი), კრისტიან ანსალდი (ინტერი), მარკოს აკუნია (სპორტინგი);

**ნახევარმცველები:** ევერ ბანეგა (სევილია), ხავიერ მასკერანო (ჰებეი ჩაინა ფორჩუნი), ედუარდო სალვიო (ბენფიკა), ლუკას ბილია (მილანი), ანხელ დი მარია, ჯოვანი ლო ჩელსო (ორივე პსჟ), ენცო პერესი (რივერ პლეიტი), მაქსი მესა (ინდეპენდიენტე);

**თავდამსხმელები:** ლიონელ მესი (ბარსელონა), სერხიო აგუერო (სიტი), გონსალო იგუაინი, პაულო დიბალა (ორივე იუვენტუსი), კრისტიან პავონი (ბოკა ხუნიორსი).

## ისლანდია

ისლანდიის ფეხბურთის ასოციაცია 1947 წელს დაარსდა და ფიფაშიც უმალ გაწევრიანდა. სადღეისოდ, რეიტინგში 22-ე ადგილი უჭირავს. პირველი მატჩი 1930 წელს ფარერის კუნძულების ნაკრებთან გამართეს და 1:0 მოიგეს.

ეროვნულ გუნდში ყველაზე მეტი მატჩი რუნარ კრისტინსონი (106) აქვს ჩატარებული, ყველაზე მეტი გოლის გატანა კი ედუარდ გუიჰონსენს (26) მოუხერხებია.

ყველაზე დიდი მიღწევა 2016 წელს უკავშირდება, როდესაც ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გააღწია, მსოფლიო ჩემპიონატზე სულაც დებიუტანტია.

გზა რუსეთამდე იოლი არ ყოფილა: ისლანდიელები შესარჩევ ეტაპზე ძალიან ძლიერ ჯგუფში მოხვდნენ – კოსოვო, უკრაინა, ფინეთი, თურქეთი, ხორვატია და ამ გუნდებთან ჭიდილში პირველი ადგილი დაიკავეს.

მოკლედ, გასული საუკუნის 30-იან წლებში დაწყებული საქმე წარმატებამდე 21-ე საუკუნის მეორე ათეულში დაიწყო. კუნძულელებმა ჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა პირველად შეძლეს, ხოლო საფრანგეთის ნაკრებს მეოთხედფინალში თავდაუზოგავი ბრძოლა გაუმართეს. ახლა უკვე ისლანდია ისტორიაში პირველად მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვდა.

გუნდის შემადგენლობა საკმაოდ გადახალისებულია. ნაკრებში როგორც გამოცდილი, ისე ახალგაზრდა მოთამაშეები ირჯებიან. გუნდის ბირთვს ისეთი ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებიც სკანდინავიისა და ბრიტანეთის ქვეყნების უმაღლეს ჩემპიონატებში თამაშობენ.

50 წლის ჰეიმირ ჰალგრიმსონის განვლილი კარიერა მრავალ სამუშაო ადგილს არ ითვლის. ის მხოლოდ ვესტნანაჟარის სხვადასხვა ასაკობრივ და ქალთა გუნდს ავარჯიშებდა, 2012 წლიდან კი ეროვნულ გუნდში მუშაობს. ჰეიმირი ჯერ მწვრთნელის ასისტენტი გახლდათ, ერთი წლის თავზე კი გუნდის თავკაცად მოგვევლინა. შეიძლება ითქვას, ამ სპეციალისტს ხელში ცოცხალი ისტორია უჭირავს და მისი გაგრძელების შანსი აქვს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, გუნდის შემადგენლობა საკმაოდ დაბალანსებულია და მათი მთავარი ძალა გუნდური თამაში და ბრძოლისუნარიანობაა, თუმცა ისლანდიელთა ლიდერად პრემიერლიგაში გამოცდილი და ამჟამად ევერტონის ფეხბურთელი გილფი სიგურდსონი შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ისლანდია ბრძოლისუნარიანი გუნდია და საკმაოდ საინტერესოც. თუმცა, კუნძულელების პროგრამა მაქსიმუმი ალბათ ჯგუფური ეტაპის დაძლევა უნდა იყოს, რაც ურთულესი საქმე იქნება.

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** ჰანეს ჰალდორსონი (რანდერსი), რუნარ რუნარსონი (ნორდსიელანდი), ფრედერიკ შრამი (როსკილდე);

**მცველები:** კაური აიდნასონი (აბერდინი), სვერირ იგნასონი, რაგნარ სიგურდსონი (ორივე როსტოვი), ჰორდურ მაგნუსონი (ბრისტოლი), ბირკირ სევარსონი (ვალიური), არი სკულასონი (ლოკერენი), სამუელ ფრიდონსონი (ვოლერენგა), ჰოლმარ ეიუოლფსონი (ლევსკი);

**ნახევარმცველები:** ბირკირ ბიანდნასონი (ასტონ ვილა), რიურიკ გისლასონი (ზანდაჰუზენი), იოჰან გუდმუნდსონი (ბარნლი), არონ გუნარსონი (კარდიფი), გილფი სიგურდსონი (ევერტონი), ოლაფორ სკულასონი (კარაბიუკსფორი), არნორ ტრაუსტასონი (მალმიო), ემილ ჰალფრედსონი (უდინეზე);

**თავდამსხმელები:** იონ დადი ბედვარსონი (რედინგი), ალბერტ გუდმუნდსონი (პსვ), ბიორნ სიგურდსონი (როსტოვი), ალფრედ ფინბოგასონი (აუგსბურგი).

## ხორვატია

ხორვატიის ფეხბურთის ფედერაცია 1912 წლის დაარსდა, ფიფას წევრი 1941 წელს გახდა. შემდეგ იყო ხანგრძლივი პაუზა იუგოსლავიის შემადგენლობაში და 1993 წელს ისევ დაუბრუნდა ფიფა-უეფას. ფიფას რეიტინგში მე-18 ადგილზეა. პირველი მატჩი 1940 წელს შვეიცარიასთან ჩაატარა და 4:0 მოიგო.

ყველაზე მეტი მატჩი ნაკრებში დარიო სრნას (134) აქვს ჩატარებული, ხოლო ბომბარდირი დავორ შუკერია (45).

მიუხედავად „ახალგაზრდული“ გუნდისა, 1998 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე ადგილის აღება მოასწრო, სხვა დიდი მიღწევით ვერ დაიკვეხნის.

გზა რუსეთამდე ამჟამად ჯგუფში ისევ მყოფ ისლანდიასთან ერთად გაიარა, იმ განსხვავებით, რომ ისლანდიელები პირველზე გავიდნენ, ხორვატები – მეორეზე და ფლეი ოფში საბერძნეთის გავლა მოუხდათ, ამასთან, საკმაოდ იოლად – სტუმრად 0:0 და შინ 4:1.

ხორვატიის ეროვნულმა ნაკრებმა დამოუკიდებლად ასპარეზობა 1990-იან წლებში დაიწყო, როდესაც მან იუგოსლავიის შემადგენლობიდან გამოაღწია. ხორვატებმა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მალევე შეძლეს დიდ საერთაშორისო ტურნირებზე ასპარეზობა და მსოფლიო ჩემპიონატზე სადებიუტო სეზონში სენსაციური შედეგის ჩვენება. მათ ჰოლანდიას მესამე ადგილისთვის ბრძოლაში აჯობეს. ეს ერთადერთი მედალია, რომელიც კონტინენტის ან მსოფლიო პირველობაზე ხორვატიის ნაკრებმა ისტორიაში მოიპოვა.

1996 წლიდან მოყოლებული, გუნდს, 2000 და 2010 წლის გარდა, არც ერთი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი არ გამოუტოვებია.

ხორვატიის ნაკრებს ზლატკო დალიჩი ხელმძღვანელობს, რომელსაც კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში აქვს გატარებული. 51 წლის სპეციალისტმა იქ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ქვეყნის თასი და აზიის ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. ხორვატიის ნაკრებში 1 წელია, რაც მუშაობს.

ხორვატებს რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავთ, რომლებიც ევროპის წამყვან კლუბებში ასპარეზობენ, თუმცა, თუ საქმე გამოკვეთილ ლიდერზე მიდგება, მაშინ აუცილებლად ლუკა მოდრიჩი უნდა ვახსენოთ.

ხორვატები საკმაოდ რთულ ჯგუფში მოხვდნენ. მათ პირველი ადგილის დასაკავებლად კონკურენციას ისეთი გუნდები გაუწევენ, როგორებიც ვიცეჩემპიონი არგენტინა და საკვალიფიკაციო ჯგუფში მეტოქე ისლანდია არიან. თუმცა, მათი ჯგუფიდან გასვლა სენსაციად სულაც არ ჩაითვლება. პირიქით, ხორვატები ხმაურიანად ჩადიან რუსეთში...

**შემადგენლობა**

**მეკარეები:** დანიელ შუბაშიჩი (მონაკო), ლოვრე კალინიჩი (გენტი), დომინიკ ლივაკოვიჩი (დინამო ზ);

**მცველები:** ვედრან ჩორლუკა (ლოკომოტივი), დომაგოი ვიდა (ბეშიქთაში), ივან სტრინიჩი (სამპდორია), დეიან ლოვრენი (ლივერპული), შიმე ვრსალიკო (ატლეტიკო), იოსიპ პივარიჩი (დინამო კ), ტინ იედვაი (ლევერკუზენი), დუე ჩალეტა-ცერი (ზალცბურგი);

**ნახევარმცველები:** ლუკა მოდრიჩი (რეალი), ივან რაკიტიჩი (ბარსელონა), მატეო კოვაჩიჩი (რეალი), მილან ბადელი (ფიორენტინა), მარსელო ბროჟოვიჩი (ინტერი), ფილიპ ბრადარიჩი (რიეკა);

**თავდამსხმელები:** მარიო მანჯუკიჩი (იუვენტუსი), ივან პერიშიჩი (ინტერი), ნიკოლა კალინიჩი (მილანი), ანდრეი კრამარიჩი (ჰოფენჰაიმი), მარკო პიაცა (შალკე), ანტე რებიჩი (აინტრახტი).

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ბორჯღალოსნებმა ოკეანეთის ტურნე გამარჯვებით დაიწყეს

ბორჯღალოსნებმა წყნარი ოკეანის თასის პირველ მატჩში ტონგას 16:15 სძლიეს და კუნძულელი მეტოქე ზედიზედ მესამედ დაამარცხეს. ეს ამ გუნდების მეექვსე შეხვედრა იყო და საქართველომ ჯამში მეოთხე გამარჯვება მოიპოვა, რის შემდეგაც ბალანსი 4:2 გახდა.

ბორჯღალოსნების ყველა, 16-ვე ქულა სოსო მათიაშვილის ანგარიშზეა, რომელმაც მეტოქეს ლელო, გარდასახვა და 3 ჯარიმა გაუტანა. ეს მისი მე-6 ლელო იყო მე-11 ტესტში.

საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა ზედიზედ მერვე გამარჯვება და მეორე – ერთი და იმავე ანგარიშით. შეგახსენებთ, სუვაში გამგზავრებამდე ბორჯღალოსნებმა დინამო არენაზე ფრანგ ბარბაროსებს უმასპინძლეს და მათაც 16:15 სძლიეს.

თამაში მძიმე გამოდგა და მილთონ ჰეიგის შეგირდებმა დაცვაში დიდი დრო გაატარეს, თუმცა ამ საქმეს 70 წუთი კარგად გაართვეს თავი და მეტოქეს ლელოს გატანის შანსი არ მისცეს. ამავდროულად, მილთონ ჰეიგის შეგირდებმა შეტევაში თითქმის ყველა შანსი გამოიყენეს და გამარჯვებისთვის საჭირო ქულები დააგროვეს.

დებიუტი ძალიან ცუდი აღმოჩნდა, დაშავდა და შესაცვლელი შეიქმნა გიორგი კვესელაძე, რომელიც კარგადაა და მატჩის შემდეგ გუნდთან ერთად ზეიმობდა გამარჯვებას. მართალია ტონგა უტევდა, მაგრამ დაცვაში კარგი თამაშის წყალობით მათ რაქში შეცდომა დავაშვებინეთ, დავით კაჭარავა სიტუაციაში ყველაზე სწრაფად გაერკვა და მარცხენა ფრთაზე მათიაშვილი დაგეზა, რომელმაც საჭირო დროს ფეხით ითამაშა და 80-მეტრიანი კონტრშეტევა ლელოთი დააგვირგვინა, რასაც ზუსტი გარდასახვაც მიაყოლა.

კუნძულელებს რამდენიმე წუთში შეეძლოთ სხვაობის შემცირება, თუმცა ჯარიმა გაუცუდდათ. მერე რაქში აგრესიული თამაშით მათ პრობლემები შევუქმენით, ტაიმის შუაში შერკინებაში დავაჯარიმეთ და მათიაშვილმა 40 მეტრიდან გაიტანა. მერე სოსოს ერთი ჯარიმა გაუცუდდა, ტაიმის დასკვნით 5 წუთში გუნდებმა ჯარიმები გაცვალეს და ტაიმი 13:3 მოვიგეთ.

მეორე ტაიმის დებიუტში სინბინით მიხეილ გაჩეჩილაძე დავკარგეთ და მეტოქემ რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება ცადა, თუმცა დაცვაში საიმედოდ ითამაშა გუნდის კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ, რომელმაც მეტოქეს მოლში ორჯერ აართვა ბურთი. საათის თავზე უკვე შერკინებამ იმძლავრა და მათიაშვილმა ჯარიმა გაიტანა, თუმცა 5 წუთში იგივე ვერ გაიმეორა და დასკვნით 10 წუთს 13-ქულიანი უპირატესობით შევხვდით.

ტონგელებმა ჩვენი დაცვის ზღუდის გარღვევა მხოლოდ 70-ე წუთზე მოახერხეს და პირველი საპასუხო ლელო გაიტანეს, თუმცა გარდასახვა

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ყველაზე ხანდაზმული კატა 30 წლის გახდა



წითური კატა შჩებენკა, რომელიც დიდი ბრიტანეთის ბინადარია და რომელიც დღეისთვის მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ კატად ითვლება, ოცდაათი წლის გახდა.

ცხოველის პატრონი მიშელ ფოსტერი მას შემდეგ არ დაშორებია, როდესაც ის ოცი წლის იუბილეზე აჩუქეს, როდესაც შჩებენკა ჯერ ისევ კნუტი იყო. პატრონი საყვარელი ცხოველის დღეგრძელობას იმით ხსნის, რომ თავად შვილები არ ჰყოლია და ამიტომ მთელ თავის ყურადღებას კატას უთმობდა. ფოსტერმა იქვე დაამატა, რომ არ სურდა რეკორდის ოფიციალურად დაფიქსირება, რათა კატა სახელგანთქმული არ გამხდარიყო და გამუდმებულ გადაღებებს არ შეეწუხებინა.

– ის ძალიან საყვარელი კატაა, თუმცა სიბერის დროს ცოტა ბუზღუნა გახდა და ძალიან არ უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, – განაცხადა კატის პატრონმა.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხანდაზმულ კატად კრიმ პაფი ითვლება, რომელმაც 38 წელი იცოცხლა და 2005 წლის აგვისტოში მოკვდა.

## სათამაშო ნიანგით გართულმა ბავშვმა ნამდვილი ვერ შენიშნა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ორლანდოს გარეუბანში ალიგატორი შეუმჩნევლად მიეპარა ბავშვს, რომელიც გასაბერი სათამაშო ნიანგით ერთობოდა.

ნიკოლ მოჯიკა ვიდეოზე იღებდა, თუ როგორ ერთობოდა ეზოში მისი ექვსი წლის შვილი სათამაშოთი. კადრებში, რომელიც მან ფეისბუქში გამოაქვეყნა, კარგად მოჩანს, რომ სახლის მახლობლად, სკამების უკან, რეპტილია იმალება. მას ყურადღება მხოლოდ გადაღების დასრულების შემდეგ მიაქციეს. საბედნიეროდ, იქ მყოფთაგან არავინ დაშავებულა.

ქალი ამტკიცებს, რომ ბავშვებს ქუჩაში მანამდე არ უშვებს, სანამ არ დარწმუნდება, რომ ეზოში ალიგატორები არ არიან, თუმცა ამჯერად ერთ-ერთმა რეპტილიამ შეუმჩნევლად მიპარვა მოახერხა.

– შემდეგ შევნიშნე, რომ ყავისფერი სკამი ინძრეოდა. ღმერთო ჩემო! არ მოველოდი, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩვენთან ასე ახლოს აღმოჩნდებოდა, – განაცხადა ქალმა, – ამბობენ, რომ მათ ადამიანების ეშინიათ, თუმცა ეს შეშინებულს ნამდვილად არ ჰგავდა. ის შემდეგ მდელოზე გაცოცდა და გუბურაში შეცურდა.

## „მაკდონალდსის“ ყველაზე ძვირადღირებული სათამაშო აღმოაჩინეს

კოლექციონერებისთვის ყველაზე ღირებული ბავშვებისთვის განკუთვნილი „მაკდონალდსის“ სათამაშოების ნაკრებიდან გახდა ბრენდ TY Teenie Beanie-ს რბილი ფიგურები, რომლებიც 2000 წელსაა გამოშვებული. ერთი ასეთი სათამაშო შესაძლოა 450 დოლარი ღირდეს.



შედარებით ნაკლები ღირებულების აღმოჩნდა 1979 წელს გამოშვებული ფიგურები „წყალქვეშა მონსტრების“ კოლექციიდან. თითოეული მათგანი 400 დოლარადაა შეფასებული. ამდენივე ღირს დიენერ კეშის რობოტები 1979 წლის ნაკრებიდან.

ძვირადღირებული სათამაშოების სიაში ასევე მოხვდნენ ყოვლისშემძლე რეინჯერები, რომლებიც 1994 წელსაა გამოშვებული და დაახლოებით 350 დოლარი ღირს. იმავე თანხადაა შეფასებული 1995 წლის მულტფილმ „გაჯეტის ინსპექტორის“ მოტივებზე შექმნილი ნაკრების ფიგურებიც.

– „ჰეპი მილას“ შემადგენლობაში ამ წლების განმავლობაში ათასობით სათამაშო იქნა გამოშვებული და ყოველთვის რთულია იმის განსაზღვრა, რომელი მათგანია, უბრალოდ, პლასტიკატის ნაჭერი, ხოლო რომელი – მეტად ღირებული, – განაცხადა რეიტინგის შემდგენელმა ანტიკვარიატის სპეციალისტმა პიტერ ჯენკინსმა.

## აგრესიულმა ბეჰემოთმა შვეულმფრენს შეუტია



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ბეჰემოთი დაბალ სიმაღლეზე მფრენმა შვეულმფრენმა გააღიზიანა, წყლიდან ამოხტა და მისთვის პირის ჩავლება ცადა.

ქალაქ ვუსტერის მახლობლად მდებარე აკვილას კერძო სანადირო შეკვეთილის ეგერებმა ყურადღება მიაპყრეს აგრესიულ ბეჰემოთს, რომელიც ძალიან ხშირად იწვევს ჩხუბში სხვა ბეჰემოთებს, ხოლო როდესაც მისი თავდასხმების ობიექტად ახალდაბადებული ბეჰემოთები იქცნენ, მათ მისი სხვა ადგილზე გადაყვანა გადაწყვიტეს.

ცხოველის მოსაძებნად შვეულმფრენი გაიგზავნა. მასში იმყოფებოდა ცხოველებზე მონადირე ჯერალდ მინაარი, რომელიც ბეჰემოთის ტრანკვილიზატორის გამოყენებით დაძინებას გეგმავდა. როდესაც შვეულმფრენი ტბის თავზე დაეკიდა, აგრესიულმა ცხოველმა მას შეუტია და შეეცადა, მისთვის კბილები ჩაევლო, მაგრამ ვერ მისწვდა.

– ჩვენ მას ვეძებდით და ვერც კი ვხვდებოდით, რომ ის ჩვენ ქვევით იყო, – განაცხადა შვეულმფრენის პილოტმა კობუს კრუსმა, – ბეჰემოთი, უბრალოდ, წყლიდან პირდაფჩენილი ამოხტა. პირი რომ ჩაევლო, ღმერთმა უწყის, რა მოხდებოდა.

ამ ინციდენტის შემდეგ შვეულმფრენმა სწრაფად აკრიფა სიმაღლე, შემდეგ კი ბეჰემოთი ნაპირისკენ გარეკა, სადაც მისი დაძინება უფრო ადვილი იქნებოდა.

შეკვეთილის თანამშრომლების შეფასებით, ცხოველი დაახლოებით ტონა ნახევარს იწონიდა და მთელი სხეული ნაიარევებით ჰქონდა დაფარული, რომლებიც სხვა ბეჰემოთებთან ორთაბრძოლებში მიიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბორჯღალოსნებმა ოკეანეთის ტურნე გამარჯვებით დაიწყეს

დასაწყისი მე-9 გვერდზე



არაზუსტი იყო და კომფორტული სხვაობა შევინარჩუნეთ. კუნძულელებმა გააფთრებული იერიშები გააგრძელეს და ჯაბა ბრეგვაძის სინბინის შემდეგ დასკვნითი წუთები კაცნაკლულად გავატარეთ, რითაც მეტოქემ 79-ე წუთზე ისარგებლა და ლელოს გარდასახვაც მიაყოლა, მაგრამ ბოლო შეტევა მოვიგერიეთ და 16:15 ვიმარჯვეთ.

წყნარი ოკეანის თასის მეორე მატჩში მასპინძელმა ფიჯიმ სამოას 24:22 სძლია. სამოამ ანგარიში ჯარიმით გახსნა, თუმცა მურიმურივალუმ, ვოლავოლამ და სენილოლიმ ლელოებით შესვენებამდე უპასუხეს. 50-ე წუთზე გონევამ მეოთხე ლელო გაიტანა, ვოლავოლამ ორი გარდასახა და ფიჯი 24:3 დაწინაურდა. სამოამ დასკვნით 20 წუთში 3 ლელო გაიტანა, მაგრამ მხოლოდ 2 გარდასახა და მხოლოდ ბონუსს დასჯერდა.

16 ივნისს წყნარი ოკეანის მეორე ტურში სამოა – ტონგას, ხოლო საქართველო მასპინძელ ფიჯის ჩვენი დროით 07:30 საათზე ეთამაშება.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## თამაზ შარაბიძე 90 წლისაა





ბატონო თამაზ, გილოცავთ დაბადების დღეს! თქვენ თქვენს შესანიშნავ ცხოვრებას ატარებთ ქვეყნისათვის უსაზღვრო სიყვარულში, ხართ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი. თქვენი საქმიანობით ძირითადად მოღვაწეობდით და მოღვაწეობთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

იცოცხლეთ დიდხანს თქვენს დიდ ოჯახთან ერთად და კიდევ ბევრი საქმე გაგეკეთებინოთ ჩვენი ქვეყნის დიდებისთვის.

*თქვენი მეგობრები – ლამარა მასხარაშვილი, იამზე ფანცხავა, ნოდარ მეძმარიაშვილი, ნოდარ ჩიბალაშვილი, გუგა ჭოხონელიძე*

## ასტროპროგნოზი 11 ივნისისთვის



**ვერძი** – საქმიანი შეხვედრებისათვის შეუფერებელი დღეა. ნუ იქნებით აგრესიული. **კურო** – წინდახედულობა გმართებთ. გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ მიიღოთ. **ტყუპები** – გაისეირნეთ ქალაქგარეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **კირჩხიბი** – დაწყებული საქმე შეძლებისდაგვარად დღესვე დაამთავრეთ. ბევრს ნუ ილაპარაკებთ. **ლომი** – თუ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას აიღებთ, ინანებთ. ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **ქალწული** – ნებისმიერი საქმე გადადეთ და მხოლოდ ჯანმრთელობის პრობლემებზე იზრუნეთ. დაიცავით დიეტა. **სასწორი** – მშვენიერ ხასიათზე ხართ, რაც თქვენს შრომის ნაყოფიერებაზეც აისახება. **ღრიანკალი** – დოკუმენტებზე ხელმოწერისას კარგად დაფიქრდით. შეცდომა არ დაუშვათ. **მშვილდოსანი** – უყურადღებობა არ გეპატიებათ. თუ დაიღალეთ, აუცილებლად გადით ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მიმნდობლობა და მიამიტობა დღეს დაუშვებელია. მოტყუებული დარჩებით. **მერწყული** – მატერიალური პრობლემები არ გაწუხებთ. ენერგია გემატებათ. **თევზები** – საოჯახო საქმეების მოსაწესრიგებლად შესაფერისი პერიოდია. უქმად ნუ დაჯდებით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## სკანვორდი



1. ლიტერატურული ხერხი; 2. ამონი; 3. საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან; 4. წესრიგის დამცველი რაზმი; 5. ვიწრო ქუჩა სოფლად; 6. მოკლე ორლესული მახვილი; 7. მაუგლის მეგობარი გველი; 8. ინსტრუმენტული პიესა; 9. სპორტული შეჯიბრის დასაწყისი; 10. მდინარე ევროპაში; 11. დესპოტი; 12. ებრაელთა ხმიადი; 13. ტბა ალასკაზე; 14. ... ჰეპბერნი; 15. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 16. ერთიანები კამათლებზე; 17. ლათინური ასოს სახელწოდება; 18. ავსტრალიური სირაქლემა; 19. მიშელ ...; 20. მესამე ნოტი; 21. პოლონელი კომპოზიტორი და პიანისტი; 22. ლიბერიის დედაქალაქი; 23. ცხლად დასალევი წითელი ღვინო; 24. მოდური სიმღერა; 25. მტაცებელი ფრინველი; 26. ხელოვნური ბოჭკო; 27. მეზარბაზნე რუსეთში (ძვ.); 28. მონეტის ზედა მხარე; 29. ამერიკელთა მეტსახელი ევროპაში; 30. მამაკაცის გულამოჭრილი სერთუკი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კობალტი; 2. საფარა; 3. ალტრუიზმი; 4. კამორა; 5. ვესტერნი; 7. ცემი; 11. სანქცია; 13. თურქეთი; 15. ვაშლი; 16. ბადრო; 18. ეზოპე; 19. დუნია.

**თარაზულად:** 6. ოვაცია; 8. დანელია; 9. კომპასი; 10. ლარიქსი; 12. კანტი; 14. ჰაკერი; 17. მარმელადი; 20. ბოცმანი; 21. ალმაზა; 22. პოლისი; 23. ჯოკოვიჩი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხერესი; 2. ონაგატა; 3. ბლანშეტი; 4. კლაიპედა; 8. მონასტერი; 9. კონტრასტი; 11. შეიკერი; 12. იენი; 14. არგო; 16. კოლექცია; 17. მეტონიძე; 19. ფროიდი; 21. ნოკია.

**თარაზულად:** 5. კლიასერი; 6. ჯარგვალი; 7. პასტორალი; 10. პერონი; 13. კანადა; 15. სნუკერი; 18. გოგენი; 20. ბატუტი; 22. პროვიზორი 23. ბილფელდი; 24. ჭიჭინაძე.

# ავთო აბესლამიძე ყაზახურ ვოისში მონაწილეობს



მას შემდეგ, რაც ბათუმელმა ავთო აბესლამიძემ „იქს ფაქტორში“ გაიმარჯვა, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა სხვა ქვეყნებშიც მოისურვა.

მიუხედავად იმისა, რომ ავთოს უცხოეთში გამართულ ფესტივალებსა და კონკურსებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს და სხვადასხვა პრემიისა და პრიზის მფლობელიცაა, მისთვის ყოველი კონკურსი ახალი გამოწვევა და ახალი სანერვიულოა.

ამჯერად ავთო ყაზახურ ვოისში მონაწილეობს. კონკურსი ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ჩატარდება. კონკურსის ორგანიზატორებს ქართველი მომღერალი პირველ ნომრად ჰყავთ წარდგენილი და მის შესახებ ინტერნეტში ინფორმაციას ავრცელებს.

თავად ავთომ კი კონკურსის ორგანიზატორებსა და გულშემატკივრებს განუცხადა, რომ მას ყველასგან განსხვავებული ხმა აქვს და ამას მხოლოდ მაშინ დაიჯერებენ, როცა ავთოს მოუსმენენ.

# თიკა ჯამბურია სასამართლომ გაამტყუნა



მომღერალი თიკა ჯამბურია და მისი მეზობლები, რომლებიც რუსთაველის პირველ ნომერში ცხოვრობენ, სასამართლომ გაამტყუნა. მათ კორპუსს პანორამა თბილისის შენობა ცხვირწინ მიადგეს, რითაც ყველანაირი საარსებო საშუალება მოესპოთ. ახლა მათ წინ უზარმაზარი შენობაა, ჰაერი აღარ მოძრაობს და აღარც სტადიონი აქვთ, აღარც ეზო და აღარც მანქანების გასაჩერებელი ადგილი.

– ჩემი სახლი... რაც დავიბადე, აქ ვცხოვრობ. ყოველთვის ულამაზესი ხედებით და ყველაზე მაგარი ადგილით ვამაყობდი. ახლა კი ვინც მოდის ჩემთან სტუმრად, ყველა შოკში ვარდება უზარმაზარი ბეტონის კედლების ხედით, რომელიც პირდაპირ აივანში მაქვს შემოდგმული...

დიდი მადლობა ყველას და პანორამა თბილისს, რომ ასე გაალამაზა ქალაქის ცენტრი, იზრუნა მოსახლეობაზე და ახლა კიდევ დიდ გამწოვს გვიყენებს, რომლის გამონაბოლქვიც პირდაპირ ჩვენთან შემოვა და ძალიან მაგარ ხედთან ერთად ჰაერი გვექნება არაჩვეულებრივი.

ასე რომ, ვისაც ეხება ეს ყოველივე, მერიას, არქიტექტორებს და ა.შ., ვუსურვებ უზარმაზარი ბეტონის კედლებს შუა ცხოვრებას იმავე პირობებში...

**პ.ს.** წაგვართვეს ეზო, სტადიონი და პარკინგი, რომელიც ჩვენს სახლს ეკუთვნოდა... სასამართლომ გაგვამტყუნა.

# პანტომიმის თეატრს მინები ჩაუმსხვრიეს



პანტომიმის სახელმწიფო თეატრს სარეკლამო სტენდის მინები ჩაუმსხვრიეს.

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც პანტომიმის თეატრს პრობლემები ექმნება. შენობა რამდენჯერმე გაქურდეს, მინები ჩაუმსხვრიეს, წყალი ჩაუშვეს, დასუფთავებული ტერიტორია ნაგვით აუვსეს.

ამირან შალიკაშვილი უმცროსი, პანტომიმის თეატრის დირექტორი:

– მე მგონი, ზოოპარკი თბილისის ზღვაზე არ უნდა გაგეკეთებინათ, პატარა ზოოპარკი თეატრის წინ არის, ოღონდ ტყიურები დარბიან!

ნახეთ, თბილისის მერიისა და ხელოვანი ხალხის გაკეთებული სარეკლამო ისევ გამიტეხეს! რატომღაც მგონია, სპეციალურად კეთდება! კიდევ ერთხელ გირჩევთ, თუ ყველა ერთად მოვუვლით თბილისს, უფრო მალე და ხარისხიანად აშენდება.

მომიტევეთ, თუ რამე გაწყენინეთ!

# ალექსანდრე მრელაშვილი: „არ ვიცი, რით ვარ გამორჩეული“



ალექსანდრე მრელაშვილი „მხოლოდ ქართულის“ ფინალისტია. 21 წლის კონკურსანტისთვის სიმღერა ყველაფერია და ამიტომაც ყოველთვის სულით და გულით მღერის.

**ალექსანდრე მრელაშვილი:**

– ჩემი საყვარელი სიმღერაა მამუკა ჩარკვიანის „ჩემი აღარა ხარ, მორჩა“.

***– რატომ მიხვედით „მხოლოდ ქართულში“?***

– პაპამ და ბებომ მითხრეს ამ პროექტის შესახებ და მათი თხოვნით გადავწყვიტე, მოვსულიყავი და მეცადა ბედი, რადგან ისინი ისეთ ასაკში არიან, არ მინდოდა, უარი მეთქვა, თუმცა მათთან ერთად ბევრმა ახლობელმა და მეგობარმა მირჩია, „მხოლოდ ქართულში“ მიმეღო მონაწილეობა.

***– როგორი მოლოდინი გქონდათ?***

– დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს პროექტი ისეთი გამოვიდოდა, როგორიც არასდროს არც ერთი პროექტი არ ყოფილა. ქართველი მსმენელი ყოველთვის სწორად აფასებს კონკურსანტს, ამიტომ მჯეროდა, ახლაც ასე იქნებოდა და იმას დაუჭერდა მხარს, ვინც ყველაზე კარგი იქნებოდა ლაივ კონცერტებზე. ზოგადად კი ემოციური ადამიანი ვარ, გულწრფელი და მხიარული.

***– რით ხართ გამორჩეული?***

– არ ვიცი, რით ვარ გამორჩეული. ამას ხალხი უფრო მიხვდება და შეაფასებს. ის ვიცი, რომ ყოველთვის, რასაც ვმღერი, გულითა და ემოციით ვასრულებ და ვგრძნობ სიმღერას, რადგან სხვანაირად არ შემიძლია ვიმღერო.

***– სიმღერის გარდა, რა გიყვართ?***

– მიყვარს ფილმების ყურება და ფეხბურთი. ვთვლი, რომ სიმღერის გარდა არაფერი გამომდის კარგად, ამიტომ ვერ ვხედავ ჩემს თავს სხვა სფეროში.

# ფასანაურის ფოსტას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ფასანაურში მდებარე ფოსტას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორ ნიკოლოზ ანთიძის შესაბამისი ბრძანებით კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ფასანაურის ფოსტა 1840 წელს არის აგებული. შენობა ორი ნაწილისგან შედგება, ჩრდილოეთის ნაწილი ორსართულიანია, სამხრეთის – ერთსართულიანი. ჩრდილოეთის ნაწილი დასავლეთიდან აღმოსავლეთით წაგრძელებული სწორკუთხედია. მასში შესასვლელი დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდანაა. პირველი სართულის სარკმლის ღიობები სწორკუთხაა და თავისი მოჩარჩოება აქვს. მეორე სართულის ფანჯრის ჭრილი კი თაღოვანია. ნაგებობას აღმოსავლეთიდან მიდგმული აქვს ხუთწახნაგა შვერილი, რომლის შუა სამ წახნაგში სწორკუთხა სარკმლებია გაკეთებული. ორსართულიანი შენობის სამხრეთით მთელ სიგრძეზე გრძელდება ერთსართულიანი ნაწილი. იგი დიდი დარბაზის, პატარა ოთახისა და მათ შორის მოქცეული აივნისგან შედგება. აივანი სამხრეთ-აღმოსავლეთით ოთხი კვადრატული ბოძითაა გახსნილი. აივანზე ორსაფეხურიანი კიბითაა ასასვლელი, აივნიდან კი ოთახებშია მოხვედრა შესაძლებელი. ფოსტის დასავლეთი კედლის პირველი სართული პილასტრებითა და საფეხუროვანი კაპიტელებითაა გაფორმებული, რომლებიც იმეორებენ აივნის ბოძებისა და კაპიტელების ფორმას. შენობა გადახურულია თუნუქით.



შენობის აგების აუცილებლობა მოიტანა რუსეთ-საქართველოს სამხედრო გზის გაყვანამ. როგორც წესი, ამ პერიოდის საფოსტო ადგილები ითავსებდნენ როგორც ინფორმაციის გადამტან, ისე სატრანსპორტო საშუალებების გამოცვლის ფუნქციას. ფასანაურის შენობა კი ერთადერთი ასეთი საფოსტო ადგილი იყო თბილისი-სტეფანწმინდის გზაზე. ამიტომ ამ შენობაში არაერთი ცნობილი ქართველი და უცხოელი გაჩერებულა საქართველო-რუსეთის გზაზე გავლის დროს, მათ შორის ილია ჭავჭავაძე, ალექსანდრე დიუმა, ალექსანდრე პუშკინი...

# კატო ჯავახიშვილი მთავრობას აკრიტიკებს

პოეტი კატო ჯავახიშვილი საქართველოს მთავრობას აკრიტიკებს და მთელი რესურსის განათლებაში ჩადებისკენ მოუწოდებს:

**კატო ჯავახიშვილი:**

– საქართველოს მთავრობა, ჩადეთ მთელი თქვენი რესურსი განათლებაში, მილიონიან სასტუმროებსა და ფესტივალებს ცხვირში რომ გვტენით, მიეცით ახალ თაობას საშუალება, იყვნენ უკეთესები, მიხვდნენ, რომ იარაღის გარდა არსებობს სხვა გზებიც, ინტელექტუალური, წიგნიერი, ადამიანური.



მაგრამ თქვენ მართვადი მასა გჭირდებათ, კალთაზე გამობმული, კრედიტებით სავსე სახლებით, სამუშაოდ გაქცეული მშობლებით.

და ამის ფონზე ვის სჭირდება ფრანკფურტი და ენგურზე გახსნილი კულტურის ცენტრი? ვის რა ჩემ ფეხებად უნდა ეს კონცერტები? ფასადები?

როგორ ვერ მიხვდით აქამდე, რომ დროა, ყველა პლაკატი ჩამოხიოთ, მაკიაჟგაკეთებული პოლიტიკოსები გამომწვევად რომ გვიღიმიან, გააკარით ექიმების, არქიტექტორების, მუსიკოსების, მწერლების, სტუდენტების პლაკატები, მაგრამ თქვენ ასეთი პლაკატური სიყვარული შეგიძლიათ, მთავარია, სტუმარმა ნახოს, რა გადასარევი ქვეყანაა საქართველო, ხალხი ჭირსაც წაუღია. და აი, სადამდე მივედით, მკვდრებიც კი გავიყავით.

# კომპოზიტორი ნუგზარ ვაწაძე გარდაიცვალა



ქართველი კომპოზიტორი ნუგზარ ვაწაძე 81 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან შექმნა მუსიკა 30-მდე ქართული ფილმისა და ანიმაციისთვის და, როგორც მისი კოლეგები აცხადებენ, ქართულ კულტურას დიდი განძი დაუტოვა.

ინფორმაცია კომპოზიტორის გარდაცვალების შესახებ ლევან მიზანდარმა გაავრცელა:

– წავიდა ჩვენგან სახელოვანი ქართველი კომპოზიტორი და პედაგოგი, დიდი მაესტრო ნუგზარ ვაწაძე...

წავიდა, მაგრამ დაგვიტოვა მზით სავსე მუსიკა, რომელიც ყოველდღიურად მოკრძალებით ისმის ქართული ფილმებიდან თუ მულტფილმებიდან... ბევრმა არც იცის, თუ ვინ არის ამ საოცარი მუსიკის ავტორი. ჩვენთან ხომ სიცოცხლეში არ იციან კაცის დაფასება...

ნათელი დაადგეს იმქვეყნად. მისი შემოქმედება ქართველი ერის საგანძურია! ნუგზარ ვაწაძე მარადისობაა!

ნუგზარ ვაწაძეს 12 ივნისს დაკრძალავენ.

# სუხიშვილების ცეკვა დაამახინჯეს



საქართველოს საიმიჯო კლიპს, სადაც სუხიშვილები ცეკვავენ, ათასობით ნახვა აქვს, თუმცა არაკეთილისმსურველები ვიდეოს ამახინჯებენ.

ინტერნეტში გამოჩნდა ვიდეო, სადაც სუხიშვილების შემოქმედება დამახინჯებულია. ვიდეორგოლს, სადაც სუხიშვილები საქართველოს საიმიჯო კლიპში ცეკვავენ, ცნობილი ებრაული ხალხური სიმღერის „ჰავა ნაგილას“ მელოდია აქვს დადებული.

სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სუხიშვილების ამ ვიდეორგოლს სხვა ქვეყნის მუსიკა ადევს. ორი წლის წინ ზუსტად ამ ვიდეოს სულ სხვა სიმღერა დაადეს, ინტერნეტში გაავრცელეს და განაცხადეს, რომ ეს ცეკვა აზერბაიჯანული ლეზგინკა იყო. ქართველების გააქტიურების შემდეგ კი ვიდეო ინტერნეტიდან გაქრა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

## მაშველები მკვლელი ტაქსისტის დაკავებისთვის მილიონს ითხოვენ



ჩინური კომპანია, რომელმაც მკვლელის დაჭერისთვის ფულადი ჯილდო დააწესა, დანაპირების შეუსრულებლობაში დაადანაშაულეს.

მაისში სახლისკენ მიმავალ გზაზე დაიღუპა 21 წლის ბორტგამცილებელი გოგონა. ის მოკლა ტაქსის მძღოლმა, რომელიც მან ინტერნეტით გამოიძახა. აღნიშნული დანაშაული მედიასა და სოციალურ ქსელებში დიდი მსჯელობის საგნად იქცა.

ჩინურმა კომპანია დიდიმ გამოაცხადა, რომ მკვლელის დაჭერაში მილიონ იუანს გადაიხდიდა. მეორე დღეს მისი ცხედარი მდინარეში აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, გოგონაზე თავდასხმის შემდეგ დამნაშავემ გადაწყვიტა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.

რამდენიმე კვირის შემდეგ გაირკვა, რომ მილიონი იუანის მიღების პრეტენდენტი მაშველთა გუნდი იყო, რომელმაც დამნაშავის ცხედარი აღმოაჩინა.

– ჩვენ საერთო საქმის საკეთილდღეოდ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, მაგრამ კომპანიამ ხალხს პირობა მისცა, – განმარტა ერთ-ერთმა მაშველმა. ვინაიდან მათ დაპირებული ჯილდო ვერ მიიღეს, მის მისაღწევად ადვოკატი დაიქირავეს.

კომპანიაში კი აღნიშნეს, რომ ჯილდოს მიღების სხვა პრეტენდენტებიც არსებობენ. მათი მტკიცებით, ამჟამად არსებულ მასალებს სწავლობენ, რათა ფული სამართლიანად გაანაწილონ.

## ბრიტანელმა 92 წლის ბაბუას ფული შეყვარებულის მკერდის გასადიდებლად მოჰპარა



დიდ ბრიტანეთში დაიწყო ლიუკ ქვატრინის საქმის სასამართლო განხილვა, რომელმაც საკუთარ 92 წლის ბაბუას, კლიფორდ ბარლეტს, დიდი თანხა მოჰპარა იმისთვის, რომ მის მეგობარ გოგონას მკერდი გაედიდებინა.

ახალგაზრდამ ბანკის ბარათით, რომელზეც მის ბაბუას მსხვილი თანხა ჰქონდა დაგროვებული, მისი თანხმობის გარეშე ისარგებლა. 34 წლის ქვატრინი ბაბუასთან საცხოვრებლად მისი სახლის დაწვის შემდეგ გადავიდა. გარკვეული დროის შემდეგ მან ბარათის პინ-კოდს მიაგნო და იქიდან 3 ათასი ფუნტი სტერლინგი მოხსნა. ამ თანხის ნაწილი მისი მეგობარი გოგონას ემა ჰოჯესის მკერდის გადიდების ოპერაციის ანაზღაურებაზე დაიხარჯა. ოპერაციის შემდეგ გოგონამ საცვლების რეკლამის რამდენიმე კონტრაქტი მიიღო.

დანარჩენი თანხა მამაკაცმა ავიაფრენებსა და ონლაინშენაძენებზე დახარჯა, ასევე დაიქირავა მშენებლები და იჯარით ქირაობდა გადასატან ტუალეტის კაბინებს. ამ ყველაფრის შედეგად ბარლეტს კომუნალური გადასახადებისთვისაც კი აღარ დარჩა თანხა.

თავად ქვატრინი ქურდობის ბრალდებას უარყოფს. საქმის სასამართლო განხილვა გრძელდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


11 ივნისისთვის

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4538

ევრო — 2.8815

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2869

100 რუსული რუბლი — 3.9029

## ამინდის პროგნოზი 11 ივნისისთვის




## სერია თანამედროვე რუსული ბესტსელერი

**18 მაისიდან** ვიქტორ სუვოროვი **აკვარიუმი**




ეს წიგნი რუსული გრუ-ს საიდუმლო საქმიანობის შესახებ მოგვით-ხრობს.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**25 მაისიდან**

დინა რუბინა

**პეტრუშკას სინდრომი**




„პეტრუშკას სინდრომი" დინა რუბინას ყველაზე დრამატული რომანია. მისი ყოველი ახალი რომანი ბესტსელერია და გამოცემისთანავე ათეულობით ენაზე ითარგმნება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**




**1 ივნისიდან**

ვიქტორ პელევინი

**სამი ცუკერბრინის სიყვარული**

ფეისბუქი, გუგლი, უკრაინა, მომხმარებლის კულტი, ტოლერანტობა, ტერორიზმი, იმ ტრენდებს შორისაა, რასაც წიგნი ეხება.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

**8 ივნისიდან**

ევგენი ვოდოლაზკინი **ლავროსი**




სნეულთა განკურნების განსაცვიფრებელი უნარით დაჯილდოებული არსენი სიკვდილისგან ვერ იხსნის საყვარელ ქალს. სწორედ ეს იქცევა მისი ცხოვრების გარდამტეხ მომენტად.

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**

## ნიანგმა ღვთისმსახური ნათლობის დროს შეჭამა



ეთიოპიის სამხრეთ ნაწილში პროტესტანტი ღვთისმსახური, რომელიც ნათლობის მასობრივ ღონისძიებას ატარებდა, ნიანგმა იმსხვერპლა.

პასტორი დოხო ეშეტე ნათლობის ჩასატარებლად ტბა აბაიაში იყო ჩასული. პირველი მორწმუნის მონათვლის შემდეგ მას თავს რეპტილია დაესხა. ნიანგმა ღვთისმსახურს ხელები, ფეხები და ზურგი დაუკბინა. თვითმხილველების მცდელობამ, პასტორი გადაერჩინათ, შედეგი ვერ გამოიღო.

მეთევზეებმა ბადე გამოიყენეს იმისთვის, რომ ნიანგს დაღუპულის სხეული წყლის სიღრმეში ვერ წაეღო, თუმცა თავად რეპტილიამ ბადიდან თავის დაღწევა მოახერხა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 4. გადამდები სენის ფართოდ გავრცელება; 6. პრემიერ-მინისტრი გერმანიაში; 8. წყალგაუვალი მინის სარკმელი გემზე; 10. ლექსის სტროფი; 11. დენის სიმძლავრის ერთეული; 12. წუმწუმა (საბა); 14. მომღერალი შუა აზიაში; 17. მტაცებელი ცხოველი; 19. ნაყოფიერების ქალღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში; 20. წარმოების მმართველი; 21. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში; 22. მოხეტიალე მლოცველი; 23. მეორეხარისხოვანი ქალღმერთები ბერძნულ მითოლოგიაში.

**შვეულად:** 1. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 2. შრომისუუნარო ადამიანი; 3. ჭაბურღილიდან ნავთობის ამოსაღები მოწყობილობა; 5. ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი; 7. მხარეების მაჩვენებელი ხელსაწყო; 9. მთის ყველაზე მაღალი ადგილი; 13. კირშპატი; 15. ხილის წვენითა და სახამებლით მოდუღებული სასმელი; 16. თეთრი მაუდის მუნდირი; 18. ჯილდო სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებულისთვის.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## იუმორი



●●●

როგორ გამოვიმუშაოთ ფული ინტერნეტის დახმარებით?

1. ვთიშავთ ინტერნეტს.
2. მივდივართ სამუშაოდ.

●●●

პარკის დამთვალიერებელი დარაჯს ეკითხება:

– აი აქ წერია, რომ გაზონზე სიარული ხუთი ლარით ისჯება. და რატომ ასე ცოტა?

– იმიტომ, რომ სხვაგვარად მანდ არავინ ივლიდა.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რაშია ცხოვრების არსი?

– კითხვებზე პასუხის ძიებაში, მაგალითად: რაშია ცხოვრების არსი?

●●●

ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატზე, პორტუგალიელებს რონალდუს იმედი აქვთ, ფრანგებს – პოგბას, ბრაზილიელებს – ნეიმარის, რუსებს კი სასწაულის.

●●●

ქალბატონი ახალგაზრდა მოახლეს უბრძანებს, რომ დატოვოს მისი სახლი. მოახლე კი ეუბნება:

– ქალბატონო, თქვენი ქმარი კი პირიქით, მიიჩნევს, რომ შესანიშნავი მოახლე და მზარეულიც ვარ. ეს მან პირადად მითხრა.

– გაეთრიე აქედან, აქ მე ვიძლევი ბრძანებებს!

– ამასთან, საწოლშიც თქვენზე უკეთესი ვარ!

– ესეც ჩემმა ქმარმა გითხრა?

– არა, თქვენმა მძღოლმა...

●●●

ორი დაქალი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ჩემი ქმარი გამუდმებით ლაპარაკობს ძილში, პირდაპირ საშინელებაა! და შენი?

– ჩემი მხოლოდ იღიმება... ის ნაძირალა, ის!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## სერია ნამდვილი დეტექტივი

**22 მაისიდან** ნაიო მარში **კაცი იწვა მკვდარი**




დეტექტივი როდერიკ ალეინი ინგლისის ერთ-ერთ რესპექტაბელურ სახლში „მკვლელობანას" თამაშის დროს მომხდარ ნამდვილ მკვლელობას იძიებს. მსხვერპლი მონღოლური წარმოშობის რუსული სარიტუალო ხანჯლით არის მოკლული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**29 მაისიდან**

ანდრეა კამილერი **წყლის ფორმა**




ზღვისპირა იტალიური ქალაქის უმდიდრესი ადამიანი და არაფორმალური მმართველი პიკანტურ ვითარებაში იღუპება. ყველა დაინტერესებულია ამ საქმით, რომის პაპით დაწყებული, პროვინციელი მოსამართლით დასრულებული.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**




**5 ივნისიდან**

გილბერტ ჩესტერტონი

**მამა ბრაუნის სკანდალური ამბავი**

მამა ბრაუნი ჩია, პროვინციელი კათოლიკე მღვდელია, არც რამე სისტემა გააჩნია ჩახლართული დანაშაულების გასახსნელად. ბოროტმოქმედების მხილება მისი ჰობია, რაც ძალიან კარგად გამოსდის.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

**12 ივნისიდან**

როს მაკდონალდი **შიში**




ოთხმაგი მკვლელობა. ოთხი გარდაცვლილი. პირველ მსხვერპლს დანარჩენებისგან წლები აშორებს, მაგრამ მკვლელობა ერთი პიროვნების ხელით ხდება. მკვლელის ვინაობას, რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერ გამოთვლით, მხოლოდ ბოლო გვერდზე ამოიკითხავთ და გაოცდებით.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

# ზაზას მეორე ბეჭედი

ზაზა ფაჩულია ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ორგზის ჩემპიონია. კლივლენდში გამართულ ფინალური სერიის მე-4 მატჩში გოლდენ სტეიტ უორიორსმა 108:85 დაამარცხა ლებრონ ჯეიმსის კავალიერსი და შარშან მოგებული ტიტული წარმატებით დაიცვა.

თუკი წინა ფინალში კლივლენდელებმა 1 შეხვედრა მაინც მოიგეს, ამჯერად მათ შანსი არ ჰქონიათ. გოლდენ სტეიტმა კევინ დიურანტის წინამძღოლობით სერია 4:0 მოუგო ლებრონის გუნდს. ფინალური სერიის მვპ სწორედ დიურანტი გახდა, რომელმაც სერიის ბოლო მატჩში 20 ქულა, 12 მოხსნა და 10 პასი მოინადავლა. სტეფ კარიმ 37 ქულა მოაგროვა, ხოლო დანარჩენების მონაგარი შთამბეჭდავი არ ყოფილა.



ფაჩულიამ მატჩის ბოლო 3 წუთი ითამაშა და აწ უკვე დასრულებული სეზონის ბოლო ქულები საჯარიმოს ხაზიდან ჩააგდო. ზაზამ, 2 ქულის გარდა, 1 მოხსნა მოაგროვა, 1 ორიანი ააცილა.

მატჩის შემდეგ გამართულ დაჯილდოების ცერემონიალს კი მაყურებელი აკლდა. კლივლენდის ქომაგების უმეტესობამ დარბაზი დატოვა და გოლდენსტეიტელთა საჩემპიონო ზეიმს არ დაესწრო.

ჩემპიონობა გოლდენ სტეიტისთვის ბოლო 4 წელიწადში მე-3 და ზედიზედ მე-2 გახლდათ. ბოლო 2 ტიტულის თანამონაწილე ქართველი ცენტრიც გახლავთ, რომელმაც სანაკრებო კარიერა გასულ სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ დაასრულა.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**